



არსენალი

13
არსენალი
თბილისი

№ 6 (75). 20 გვ. - 2 აპრილი, 2009. „კვირის პალიცა“. სემპლარო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**მონატრებული
გამარჯვების
ერთი დღე...**

**დაღუპული
წყალქვეშა
ნაპეზი**

1425
2009

**„თავდასვის
ემსმინისტრმა
წელში გადატეხა
თავდასვა“**

**ახალი
რეპრუბეზი
მოგზადაბას იწყებენ...**





რეკრუტები
ქოჯორში —
მასშტაბური
საველე
სწავლება

8



15-16 პარტი —
ასე
მონაზრეული
გამარჯვების
ერთი ღვა

10



თავდაცვის ექსპინისებრა
ნელში გადაგება
თავდაცვა...

15

სამხრეთ
ნახევარსფეროს
ყველაზე დიდი
ავიაგამოფანა

12



ზამთრის კურსი
საჩხერის
საბითო
მოგზალების
სკოლაში

7



ფრანგი
კოვანდოსები
ვიეზნაები

39

სარჩევი

კალენდოსკოპი

- 4 ახალი ამბები
- 7 ზამთრის ჯერსი საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში

რეპორტაჟი პოლიგონიდან

- 8 რეკრუტები ჯოჯორში – მასშტაბური სავეტე სწავლება

კომულიქტი

- 10 15-16 მარტი – ასე მონატრებული გამარჯვების ერთი დღე

აუიანალონი

- 12 სამხრეთ ნახევარსფეროს ყველაზე დიდი ავიაგამოფენა

ოთხს მოწანილა

- 15 თავდაცვის ექსპონისტრმა წელში გადატეხა თავდაცვა...

სეპარატიზმი

- 18 ჯავახიური მოვლენების მიმოხილვა...

კატასტროფები

- 20 დაღუპული წყალქვეშა ნავები

სიანლე შვიარაღაში

- 26 ინდოეთი ახალ ავიაგამანადგურებელს ცდის
- 27 ფრანგული სარაქეტო ატომური წყალქვეშა ნავი ზღვაში პირველად გავიდა

ექსპოზიცი

- 30 IDEX-2009

წვითნა

- 35 პრაქტიკული სროლა – ოსტატობის საიდუმლოებანი

პროფესიონალები

- 39 ფრანგი კომანდოსები ვიეტნამში

კომულიქტის ზონა

- 42 ავღანეთის სატრანსპორტო დერეფნები

ფლოტი

- 46 ავიამზიდების მშენებლობას ახალი ქვეყნები იწყებენ

საბჟივარი

- 49 იყიდება ჩაძირული კატარლები

კროსკორდი

- 52 არსენალვორდი

არსენალის იარაღის ვალაზი

- 53 AT4 იგივე M136LAW – შვედურ-ამერიკული ერთჯერადი ტანქსანინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი

რედაქციის სვაჟი

„გულუზი“ აფხაზი და ოსი სეპარატისტები 49 და 99 წლით აპირებენ რუსულ სამხედრო ბაზებს ქართული მიწები დაუთმონ...

უკვე ამ პერიოდების განსხვავებაშიც ჩანს, რომ სეპარატისტულ სოხუმს ასევე სეპარატისტულ ცხინვალზე ორჯერ მეტად დამოუკიდებლად ქმედების უფლების მიღება სურს მოსკოვისგან.

სეპარატისტებისა და მთავარი აგრესორი ქვეყნის — რუსეთის ნებისმიერი შეთანხმება, მათ შორის რუსული სამხედრო ბაზების განთავსების შესახებაც, მხოლოდ ფარატიანა ქალაქად დარჩება, რადგან მას არც საქართველო და იმედი, არც საერთაშორისო ორგანიზაციები — გაერო, ეუთო და ევროკავშირი არ აღიარებენ.

მოვა დრო და რუსეთს ისევე სწრაფად მოუწევს ამ ბაზების დაცლა, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით გააკეთა...

ირაკლი ალადაშვილი
გიორგი შორაშორიანი

ყურადღება!

გამოიწერეთ „არსენალი“ და მიიღეთ შინ, ორ ჯვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად 16.02.2009

გაზეთ „ჯვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenalali@kvispalitra.com
ყურნალი გამოდის ორ ჯვირაში ერთხელ პარასკევს

ჩინეთი C-300-ის კლონს ამკვიდრებს ბაზარზე



ჩინეთმა მსოფლიო ბაზარზე რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-300-ის ანალოგის, HQ-9-ს, საექსპორტო ვარიანტში FD-2000-ის დამკვიდრება დაიწყო.

ბოლო დროს ამ შეიარაღების სარეკლამო პროსპექტები ორ უდიდეს გამოფენაზე გამოჩნდა — კეიპტაუნში African Ground Force Equipment Exhibition-სა და Defense Exhibition-ზე, ყარაჩში.

როგორც სააგენტო UPI ASIA იტყობინება, კომპლექსის ექსპორტიორი კომპანია China Precision Machinery Import-Export Corporation-ია.

HQ-9-ს საექსპორტო ვარიანტის FD-2000-ის შესახებ ინფორმაცია ჯერ

კიდევ 1998 წელს გახმაურდა, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი HQ-9 უკვე არის ჩინეთის არმიის შეიარაღებაში, მისი საექსპორტო მიწოდება ჯერ არ დაფიქსირებულა. ზოგიერთი მონაცემით, 2008 წელს პეკინმა ეს პროდუქცია შესთავაზა თურქეთს, რომელსაც ტენდერი ჰქონდა გამოცხადებული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შესყიდვაზე.

HQ-9 გამშვები დანადგარი რუსულ C-300-ს ჰგავს, მაგრამ ჩინელი მწარმოებელი ირწმუნება, რომ კომპლექსის საუიაცო მიზნების დაზიანების სიმორე 7-დან 125 კილომეტრამდეა, რაც გაცილებით ნაკლებია C-300-ის მახასიათებლებზე. გარდა ამისა, მწარმოებლის

ცნობით, კომპლექსს მართვადი რაკეტებისთვის გზის გადაჭრა 1-დან 18-კილომეტრამდე შეუძლია, ფრთოსანი რაკეტებისათვის — 7-დან 15-მდე, ბალისტიკური რაკეტებისათვის კი 7-დან 2-კილომეტრამდე. მწარმოებელთა მონაცემებით, ჩინურ სისტემას ერთდროულად 48 მიზნისთვის გზის გადაჭრა შეუძლია.

UPI ASIA-ს ვარაუდით, ჩინური ანალოგი ზოგიერთი მახასიათებლით კონკურენციას გაუწევს რუსულ ანალოგს. ამ პროდუქციის ერთ-ერთი უპირატესობაა არცთუ ისე მაღალი ფასი, რომელსაც სააგენტო არ აზუსტებს. მიუხედავად ამისა, სისტემის სრულყოფილება და C-300-ზე მისი ტექნიკური უპირატესობა ეჭვს იწვევს, თუმცა მწარმოებლების ბოლო დროს გააქტიურება, მსოფლიო შეიარაღების ბაზარზე დაამკვიდრონ კომპლექსი, მოწმობს, რომ დამმუშავებლებმა მისი ზოგიერთი დეფექტი გამოასწორეს.

სისტემა C-300-ის სხვადასხვა მოდიფიკაციის შესყიდვა ჩინეთმა 1993 წელს დაიწყო. პეკინი მაშინ დაუინებით მოითხოვდა მის ტერიტორიაზე ამ კომპლექსების წარმოების გამართვას, თუმცა უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, ჩინელებმა მაინც მოახერხეს C-300-ის ვარიანტის შექმნა, რომელიც, მათი გათვლით, კონკურენციას გაუწევს ანალოგიურ რუსულ კომპლექსს შეიარაღების მსოფლიო ბაზარზე.

საფრანგეთი NATO-ს სამეთაურო სტრუქტურაში ბრუნდება

საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის განცხადებით, 43-წლიანი შესვენების შემდეგ საფრანგეთს „დაუდგა მომენტი, როცა NATO-ს სამეთაურო სტრუქტურებს უნდა დაუბრუნდეს“. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება განაპირობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და საფრანგეთის ინტერესების დაცვის საჭიროებამ. „საფრანგეთი უფრო ძლიერი და გავლენიანი ქვეყანა იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ის, ვინც არ ესწრება, ყოველთვის მტყუანია, იმიტომ, რომ საფრანგეთი უნდა მონაწილეობდეს მართვაში და არა მხოლოდ ემორჩილებოდეს“, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა პარიზში, უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის კურსანტების წინაშე გამოსვლისას. ამასთან, როგორც

პრეზიდენტმა ბრძანა, საფრანგეთს, რომელიც NATO-ს წევრია, არ უკავია არც ერთი სამეთაურო პოსტი. „ჩვენ ვერ ვამბობთ ჩვენს სიტყვას, როცა მოკავშირეები განსაზღვრავენ სამხედრო მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი NATO-ს სამეთაურო სტრუქტურებიდან 1966 წლის 7 მარტს გამოვიდა მესუიურესპუბლიკის ფუძემდებლის, გენერალ შარლ დე გოლის გადაწყვეტილებით. დე გოლს ხელს არ აძლევდა ალიანსში აშშ-ის დომინანტობა. გარდა ამისა, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის შორის დაძაბული ურთიერთობისას გენერალს არ სურდა რომელიმე ბანაკთან დაკავშირება, რადგან მიაჩნდა, რომ „ქვეყანამ უნდა აირ-

ჩიოს მესამე გზა და გაატაროს დამოუკიდებელი და უფრო მოქნილი საგარეო პოლიტიკა“.

„რეინის ფარდის“ ჩამოხსნისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საგარეო პოლიტიკური რეალიები შეიცვალა და საფრანგეთმა NATO-სთან დაახლოება დაიწყო. ერთობლივი თანამშრომლობისთვის ბიძგის მიძემში სპარსეთის ყურეში ომი და ბალკანეთში სამხედრო კონფლიქტის დარეგულირება იყო.

ამჟამად საფრანგეთი NATO-ს ყველა სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობს და მოქმედი სამხედრო კონტინგენტისა და ტექნიკური საშუალებების რიცხოვნობით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მეოთხე ადგილზეა.



უკრაინას BTP-4-ის მიწოდებაზე კონტრაქტს ჰპირდებიან

მაკედონიის მთავრობას განზრახული აქვს ხელი მოაწეროს შეთანხმებას უკრაინისგან 200 ერთეული უკრაინული ჯავშანტრანსპორტიორი „ბუცეფალის“ შექმენაზე. კიევის წინადადებით, ტექნიკის დიდი ნაწილი შემკვეთის ქვეყნის ტერიტორიაზე აიწყო.

ჯავშანტრანსპორტიორი ხარკოვის მანქანათმშენებლობის ქარხანაში 2000 წელს ააწვეს BTP-80-ის ბაზაზე, მისი წარმოება კი 2008 წლის ბოლოს დაიწყო ხარკოვის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხანაში. პირველი 10 მანქანა უკრაინის არმიის შეიარაღებაში 2009 წელს შევა. ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის თქმით, „ეს თანამედროვე BTP ტოლს არ უდებს უცხოურ ანალოგებს. ბაზა, ხელსაწყოები, ძრავა და შეიარაღება მასში სამამულოა“.

BTP-ის მასა 17,5 ტონას, დამატებითი ჯავშანდაცვით კი 25 ტონას შეადგენს. ეკიპაჟი შედგება 3 კაცისგან, საბრძოლო განყოფილებაში შეიძლება 9 ჯარისკაცის განთავსება. ჯავშანტრანსპორტიორი დაკომპლექტებულია 500-ცხ.ძალის დიზელის ძრავით და შეუძლია გზატკეცილზე საათში 110 კილომეტრი სიჩქარის, წყალში კი საათში 10 კილომეტრის განვითარება. სვლის მარაგი დაახლოებით 690 კილომეტრს შეადგენს.



ჯავშანტრანსპორტიორი აღჭურვილია საბრძოლო მოდულ „პარუსით“, რომელშიც შეიძლება შევიდეს 30-მილიმეტრიანი ქვემეხი შეთანწყობილი 7,62-მილიმეტრიანი ტყვიამფრქვევით, 40-მილიმეტრიანი ავტომატური ყუმბარსატყორცი, ასევე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტის გამწვები დანადგარი „ბარბერი“ ოთხი რაკეტით, რაც დაჯავშნული მიზნების 5 კილომეტრსა და მეტ მანძილზე განადგურების საშუალებას იძლევა.

მწარმოებლებს განზრახული აქვთ

თვინათ პროდუქციის ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილო აფრიკასა და აზიაში გატანა. „ბუცეფალის“ ღირებულება დაახლოებით სამჯერ დაბალია ძირითადი კონკურენტის — ფინური Patria AMV-ს ღირებულებაზე.

უკრაინული BTP ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ექსპონატი იყო არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში ახლახან დასრულებულ გამოფენა IDEX-2009-ზე.

ისრაელს პროექტ F-35-ის სუბმოიჯარეობა სურს

ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ ამერიკულ კორპორაცია Lockheed Martin-ს შესთავაზა მრავალმიზნობრივი გამანადგურებელ F-35-ის ზოგიერთი მაკომპლექტებლის წარმოების სუბმოიჯარეობა გადასცეს. პროექტის პოტენციურ სუბმოიჯარეთა სახით ისრაელი ამერიკულ კომპანიას სთავაზობს კომპანია Israel Aerospace Industries-სა და თავდაცვით წარმოება Rafael-ს.

წყაროს ცნობით, ისრაელის მწარმოებლებს გამანადგურებელთა ელექტრონული სისტემისა და სხვა მაკომპლექტებლების აწვობა შეუძლიათ, თუმცა Elbit systems-მა უკვე მოიგო კონტრაქტი ამ თვითმფრინავების პილოტებისთვის ჩაფხუტების წარმოებაზე. ისრაელს, რომელიც 75 თვითმფრინავის შესყიდვას გეგმავს, ამ გზით სურს გააიაფოს პროდუქციის ღირებულება.

ამჟამად ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს განზრახული აქვთ კიდევ 25 ერთეული F-35-ის შეკვეთა, მომავალში კი პარტიის 50 ერთეულამდე გაზრდა. მათი ფასი 10 მლრდ დოლარზე მეტს შეადგენს.

მანამდე ისრაელი აპირებდა F-22 Raptor-ების შექმენას, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული გამანადგურებლებია, მაგრამ აშშ-ის კანონმდებლობით ამ თვითმ-

ფრინავების ექსპორტი აკრძალულია და ვაშინგტონი ჯერჯერობით არ იძლევა მათი გაყიდვის უფლებას. მოგვიანებით ისრაელელებმა არჩევანი F-35-ზე შეაჩერეს. ამის მიზეზი არა მარტო F-22-ის ღირებულება, არამედ გამანადგურებელ „სტელსის“ საბიუჯეტო ვარიანტის საბრძოლო შესაძლებლობებია, რაც ისრაელელ სამხედროთა აზრით, საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებს.



საქართველოს მთავრობის განცხადებით, ისრაელის მთავრობის განცხადებით, ისრაელის მთავრობის განცხადებით...



თურქეთმა F-16-ები იყიდა

თურქეთმა კორპორაცია Lockheed Martin-ის წარმოებული 30 გამანადგურებელი F-16C იყიდა. ამ თვითმფრინავების გაყიდვაზე თანხმობა ქვეყნის კონგრესმა ჯერ კიდევ 2006 წელს განაცხადა. გარიგების ღირებულება 1,8 მლრდ დოლარს შეადგენს.

ახალი პარტიის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია კავშირის აპარატურა Link-16 Mids LVT, რომელიც დაყენებულია გამანადგურებლებზე, ასევე მიწისზედა სადგური Link-16. ეს მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ აშშ და NATO-ს წევრი სხვა ქვეყნები, რეალური დროის რეჟიმში უამრავი ხმოვანი არხის

გამოყენებით 24-საათიანი კავშირის საშუალებას იძლევა. ამჟამად თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია დაახლოებით 250 გამანადგურებელი F-16 Block 40 და Block 50.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის თებერვალში კორპორაცია Lockheed Martin-მა განაცხადა, რომ მოდერნიზებულ მოდიფიცირებულ F-16-ებს გამოუშვებდა. კომპანიის ანალიტიკოსების აზრით, შედარებით დაბალი ფასის გამო F-16-ებზე დიდი მოთხოვნილება იქნება ბევრი ქვეყნის ბაზარზე. ახალი F-16 ამ კლასის თვითმფრინავებისთვის წაყენებულ ყველა თანამედ-

როვე მოთხოვნას პასუხობს.

2009-დან 2018 წლის ჩათვლით, გამოუშვებენ F-16-ის სხვადასხვა მოდიფიკაციას და მას იყიდიან არა მარტო ტრადიციული მყიდველები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება თურქეთი, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც, რომლებსაც განზრახული აქვთ გადააიარაღონ თავიანთი არმია NATO-ს სტანდარტების მიხედვით.

სადღეისოდ F-16 ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საბრძოლო თვითმფრინავია მსოფლიოში — კონკვეიერიდან უკვე ჩამოვიდა 4300 ერთეულზე მეტი მანქანა, რომლებიც 24 ქვეყანას მიეწოდა.



ლიტვის არმიას ბიუჯეტის მახუთადი ნაართვეს

ეროვნული ვალის ზრდის გამო, ლიტვის მთავრობამ გადაწყვიტა 2009 წლის თავდაცვის ხარჯები შეამციროს. მიმდინარე წელს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი დაახლოებით 430,8 მლნ დოლარს შეადგენს, რაც დაახლოებით 20%-ით ნაკლებია 2008 წლის ბიუჯეტზე.

როგორც ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა რასა იუკნიაივიჩემ განაცხადა, თავდაცვის უწყება შეეცდება, შეინარჩუნოს გადაიარაღების პროგრამა, რაც თავდაცვისუნარიანობისათვის პრიორიტეტად ითვლება. ლიტველი სამხედროები ამ კატეგორი-

რიას მიაკუთვნებენ NATO-ს სამხედრო ავიაციის კავშირის სისტემის რადიოშუქურებს, რომელთა მშენებლობა დაიწყო ვენტსპილსეში, ოლაინესა და რეზეკენეში, ასევე სამი ტაქტიკური სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის — C-27J Spartan-ების ყიდვას.

ლიტვის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის თქმით, ვილნიუსს განზრახული აქვს მეზობელ ქვეყნებთან — ლატვიასთან, ესტონეთსა და პოლონეთთან შეიარაღებისა და ახალი სამხედრო ტექნიკის ერთობლივი შესყ-

იდვების, ასევე სამხედრო ხარჯების შემცირების საქმეში თანამშრომლობა. მისი თქმით, მოლაპარაკებები დაწყებულია.

ლიტვის სამხედრო ხარჯები 2009 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 1,2%-ს შეადგენს, რაც NATO-ს წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მინისტრის თქმით, ეკონომიკური ვარდნის გამო ვილნიუსი, ჯერჯერობით, იძულებულია უარი თქვას ბიუჯეტის ამ სტატიის 2%-მდე გაზრდაზე, რაც მოეთხოვებათ ალიანსის წევრ ქვეყნებს.

ზამთრის კურსი საჩხერის სამთო პოლიგონის სკოლაში

აგვისტოში რუსულ-ქართული ომის დროს ერთ-ერთი დაუზიანებელი სამხედრო ბაზა საჩხერის სამთო მომზადების სკოლა იყო. ამჟამად, მისი დაზიანების შემდეგ, მისი ბაზა ერთადერთი სამხედრო-სასწავლო დაწესებულებაა, სადაც ქართველი ინსტრუქტორები ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებს სამთო მოქმედებისათვის ამზადებენ. სკოლაში მოქმედ კურსებს შორის ყველაზე საინტერესო ზამთრის კურსია, — მთამსვლელობის კურსი, — მთამსვლელობის კურსი გუდაურსა და ბაკურიანში სპეციალური პროგრამით ემზადებიან. სამთო ბატალიონების ძირითადი ფუნქცია ძებნა-გადარჩენის ამოცანების შესრულება და ქვედანაყოფებისთვის სამთო პირობებში დახმარების აღმოჩენაა. შესაბამისად, ამ ქვედანაყოფის ტაქტიკა საკმაოდ სპეციფიკურია. კურსი, რომელიც ამ ზამთარს გუდაურში დაიგეგმა და ჩატარდა, თავად ინსტრუქტორების გადამზადებას ისახავდა მიზნად. ქართველი ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ასა-



მალღებლად საფრანგეთიდან სპეციალისტები ჩამოვიდნენ. გუდაურის ზამთრის კურსი რამდენიმე ეტაპად დაიგეგმა. სამხედროები რთული მეტეოპირობების დროს წინააღმდეგობების გადალახვაში და თხილამურებით გაუკვალავ თოვლში სვლის ტექნიკას ხეწდნენ. გაუკვალავ თოვლში თხილამურებით სვლა საკმაოდ რთულია. სიფრთხილესთან ერთად საჭიროა სისწრაფეც. წელს დაგეგმილ კურსზე სამთო მომზადების სკოლის ახალი ინსტრუქ-

ტორებიც მოხვდნენ. შედარებით კვალიფიციური სამთოელები მეტად რთული ამოცანების შესრულებით იყვნენ დაკავებული. სირთულე სხვა ტიპის ამოცანის შესრულებითაც გამოიხატებოდა.

მაღალმთიან რელიეფზე ზამთარში ღამის გათენება ყველაზე რთული ამოცანაა. ამ დროს შენიღბვა საჭიროა. იგლუ — არის ღამის გასათენებელი ადგილი, რომელიც სპეციალურად თოვლის ქვეშ რამდენიმე მეტრის სიღრმეზე კეთდება. საფარში მუდმივი ტემპერატურაა შენარჩუნებული. იმ დროს, როდესაც გარეთ დაახლოებით 30-40 გრადუსი ყინვაა, იგლუში ტემპერატურა ზაფხულის სიცხის ტოლფასია.

საჩხერის სამთო მომზადების ინსტრუქტორები იგლუების სწრაფ მოწყობაში ვარჯიშობდნენ. მეტი ეფექტისთვის იგლუებში ღამე თავად უნდა გაეთენებინათ. კურსი წარმატებით დასრულდა. საჩხერის სამთო მომზადების სკოლის პირადი შემადგენლობა ფრანგმა ინსტრუქტორებმა დადებითად შეაფასეს. ანალოგიურ კურსს მომდევნო წელს უკვე ქართველი სამხედრო მთამსვლელები გაივლიან.

სპეციალურად
„არსენალისთვის“
გიორგი თუხარაძე
ტელეკომპანიის
„სამართველო“





რეპრუზები კოჯორში

მასშტაბური საველე სწავლება

რეკრუტების მომზადება კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრს გასცდა. რუსულ-ქართული ომის შემდეგ ქართულ არმიამ განათლება მთავარ ამოცანად დაისახა.

ავვისტოს ომის შემდეგ ყველასთვის თითქოს მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ სამხედრო სამსახურში წასვლის მსურველთა რიცხვი უჩვეულოდ გაიზარდა. ომის შემდეგ პირველივე მიღებაზე ათასზე მეტი მოქალაქე მივიდა კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში, მაგრამ მხოლოდ ნახევარმა გაიარა სამედიცინო შემოწმება. რეკრუტების ამ ნაკადის მომზადების შემდეგ კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრს კიდევ უფრო მეტმა მსურველმა მიაკითხა. ქვეყნის თავდაცვისათვის გულანთებული მოქალაქეების უმრავლესობა ამჯერად სამედიცინო შემოწმებას უპრობლემოდ გადის. ომის შემდეგ ეს მეორე ნაკადია.

სასწავლო ცენტრში სიახლეების დანერგვა და სასწავლო პროცესში ახალი ელემენტების შეტანა დაიწყო. პირველ ეტაპზე რეკრუტები მომზადების საწყის კურსს გადიან, რაც აქამდე 5

კვირას გრძელდებოდა. მოსალოდნელია, რომ ამ კურსის ხანგრძლივობა გაიზარდება. საწყის კურსზე, ძირითადად, სამხედრო წესდებებსა და ზოგად ტაქტიკურ-საცეცხლე ელემენტებს ასწავლიან. კურსის მიზანია რეკრუტები საბრძოლო სპეციალობების მიხედვით დანაწილებისთვის მოამზადოს.

კოჯორში ტელეკომპანია „საქართველოს“ გადამღები ჯგუფი რეკრუტების წვრთნის გასაშუქებლად დილით მივიდა. ეს ის ადგილებია, სადაც არცთუ დიდი ხნის წინ ეროვნული გვარდია რეზერვისტებს ამზადებდა. საწვრთნელი პოლიგონი კარგად შეესაბამება საქართველოს ბუნებრივ პირობებს და იდეალურია ვარჯიშისათვის. ამ ადგილებში რამდენიმე ასეულ რეკრუტს ინსტრუქტორები სხვადასხვა ტაქტიკურ ამოცანას ასრულებინებდნენ.

„ლიბა“

სამკურნალო ბაერთიანება

სემსოპათოლოგია



- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24



საველე გასვლა სამ დღეს მოიცავდა. ეს იყო რეკრუტების პირველი საველე მასშტაბური სწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ წვრთნებში საბრძოლო ვაზნები არ გამოიყენება. მიზეზი მარტივია, — სამხედროები საველე გადამზადების დროს ტყეში, ველსა და სხვა განსაკუთრებულ ლანდშაფტზე გადაადგილების წესებს ეცნობოდნენ, რათა საბრძოლო ვითარებაში არ შეიქმნას გადაადგილების პრობლემა და მოწინააღმდეგე კვეთები ადვილად ვერ დააზიანოს არასწორად გადაადგილებისა და იმის გამო, რომ თანამებრძოლს არ იცავდნენ. ასეთი საველე სწავლებების დროს სამხედროებს ერთმანეთთან სიახლოვე უწევთ, რაც სროლის დროს რისკფაქტორს წარმოადგენს.

ინსტრუქტორები სამხედროებს მოწინააღმდეგის ცეცხლზე რეაგირების წესებსაც ასწავლიდნენ. მაგალითად, ტყის პირას გადაადგილდებოდა ათეული. მოულოდნელად ტყიდან ან სხვა მიმართულებიდან მოწინააღმდეგე ცეცხლს ხსნიდა. ამ დროს სწრაფი და ზუსტი რეაგირება სიცოცხლის შენარჩუნების ტოლფასია.

ჩასაფრებაში მოყოლილ რეკრუტს შემდეგ ინსტრუქტორები უკვე საპასუხო შეტევაზე გადასვლის პრინციპებს აცნობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საველე სწავლებაში საკმაოდ დიდი კონ-



ტინგენტი მონაწილეობდა, რეკრუტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სხვადასხვა დანაყოფის სწავლებისთვის თვალი ედევნებინათ. ინსტრუქტორების შეფასებით, ტაქტიკური სწავლებები ფუჭი

ვაზნების გარეშე ეფექტიანობას არ კარგავს. მეტიც, ასეთი სწავლების დროს დაშვების რისკი ძალიანაა. უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს იყო მომავალი სამხედროების პირველი მასშტაბური საველე სწავლება, რომელიც მომზადების ცენტრიდან საკმაოდ მოშორებით გაიმართა. თუმცა სამდღიანი წვრთნების განმავლობაში სწავლება ფუჭი ვაზნების დახმარებითაც წარიმართება და რეკრუტები ინსტრუქტორებს ერთგვარად გამოცდას ჩააბარებენ.

ამ სამი დღის განმავლობაში რეკრუტების ღამის პირობებში მომზადებაც დაიგეგმა. საწყისი კურსის დასრულებამდე მომავალი ჯარისკაცები კიდევ რამდენჯერმე მიიღებენ მონაწილეობას საველე სწავლებებში. ძირითადი კურსის დროს კი მათი სამხედრო სპეციალობების მიხედვით დანაწილება მოხდება და უკვე კონკრეტული იარაღის ტაქტიკას, დანიშნულებასა და თავიანთი პროფესიის მნიშვნელობას შეისწავლიან.

სპეციალურად
„არსენალის თვის“
ვიორგი თუხარაღი
ტელეკომპანია
„საქართველო“





15-16 მარტი

ასე მონაბრუნული გაგარჯვეზის ერთი დღე



მარტის ბრძოლებში დიდი იყო „გრადების“ დამსახურება

ქართული არტილერიის პირველი დიდი გამარჯვება 1993 წლის მარტთან არის დაკავშირებული, როცა აფხაზმა სეპარატისტებმა რუსეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერითა და მონაწილეობით სოხუმზე ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწიეს.

შეტევისათვის მზადება კარგა ხნით ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ თებერვალში ახალი ათონის რაიონში რამდენჯერმე შემოვიდა რუსული დიდი სადესანტო ხომალდი და ავტომანქანებმა დიდი რაოდენობით გაურკვეველი ტვირთი გადმოიტანეს.

მდინარე გუმისთის მარჯვენა სანაპიროზე დამლაშობით შეიმჩნეოდა სატვირთო ავტომობილების კოლონათა მოძრაობა იმ ადგილებისკენ, სადაც, სავარაუდოდ, საცეცხლე პოზიციები იყო მოწყობილი და საბრძოლო მასალათა მარაგის შევსება მიმდინარეობდა.

აქტიურად მუშაობდა მოწინააღმდეგის დაზვერვა. სოხუმში შუქურას რაიონში განთავსებული რუსეთის არმიის 901-ე მოიერიშე-სადესანტო ბატალიონის პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით ქართული ფორმირებების პოზიციებზე რუსული შეუკლმფრენები ხშირად დაფრინავდნენ.

რუსი სამხედროების საცხოვრებელი კორპუსები მზვერავების, საარტილერიო ცეცხლის მაკორექტირებლებისა და

სნაიპერთა თავშესაფრად იყო გადაქცეული. გასაკვირი არც არის, რომ სოხუმის თავდაცვით პოზიციათა შესახებ მტერს მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდა.

იმ დროისათვის მოწინააღმდეგის განკარგულებაში იყო განთიადის, ბიჭვინთის, ეშერა-ახალი ათონის, ბაგრამიანის სახელობის სომხური, I და II ჩეჩნური და სხვა ბატალიონები. აგრეთვე ყაბარდოულთა ასეული, რუსი კაზაკებისა და სამხედროებისაგან შექმნილი რაზმები.

ქართული მონაცემებით, დაჯგუფება 4 ათასიდან 5 ათასამდე მებრძოლს ითვლიდა, საიდანაც 700-750 — დამრტყმელ ქვედანაყოფებს, 1400-1500 — პირველ ეშელონს, 1600-2000 — მეორე ეშელონსა და 400-600 კაცი რეზერვს ქმნიდა. ამ ძალებს მხარდაჭერას ორი ათეული ტანკი, ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი უკეთებდა.

სეპარატისტთა ხელმძღვანელობის შეხედულებით ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებს შესაძლებლობები ამოწურული ჰქონდა და სოხუმის აღება მოხერხდებოდა.

ქალაქს II საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადა და რამდენიმე ცალკეული ქვედანაყოფი იცავდა. თავდაცვის გასაძლიერებლად სარდლო-

ბამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა: გუმისთის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული პოზიციები ინჟინრულად მეტ-ნაკლებად მოწყობილი ბლინდაჟებითა და ტრანშეებით გამაგრდა, დაინაშა მისადგომები, მოშადადა თავდაცვის მეორე ხაზი, რომელიც პირველი ხაზის გარღვევის შემთხვევაში მოწინააღმდეგის შეკავებას შეძლებდა.

პოლკოვნიკ ეშვარ ჭოჭუას წყალობით II საარმიო კორპუსის არტილერია კარგად იყო ორგანიზებული. ქართულ ფორმირებებს გუმისთის 15-კილომეტრიან ფრონტზე ჰქონდა 125 ერთეული საარტილერიო სისტემა, რომელიც, ძირითადად, „გრადების“, 122მმ-იანი ჰაუბიცა D-30-ების, 85მმ-იანი ქვემეხების — D-44-ების, 100მმ-იანი საზენიტო KC-19-ებისა და ნაღმსატყორცებისაგან შედგებოდა.

14 მარტს ქართულმა მხარემ ეშერის რაიონში მოწინააღმდეგის ტექნიკის რამდენიმე ათეული ერთეულის გადაადგილება შეამჩნია, რაც შეტევის დაწყებისათვის მზადებად ჩაითვალა. ასეთ ვითარებაში წინმსწრები საარტილერიო დარტყმის შესრულებაზე უმაღლესი მთავარსარდლის ნებართვა გაიცა.

15 მარტს, ღამის 2 საათზე, ეშერის ლაბორატორიისაკენ მოწინააღმდეგის ძალთა თავმოყრის შესაძლო რაიონების მიმართულებით ქართველებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გახსნეს, მაგრამ მტერმა პასუხის გაცემას თავი აარიდა.

იმავე დღეს II საარმიო კორპუსის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ვალერი ქვარაიამ ქვედანაყოფთა მეთაურებს მეცადინეობა ჩაუტარა, სადაც მტრის შემოტევისა და პოზიციებზე შემოღწევის შემთხვევაში შესაძლო მოქმედებათა ვარიანტები და კონტროლები დამუშავდა.

16 მარტს 1 საათსა და 45 წუთზე გუმისთის მარჯვენა სანაპიროდან მოწინააღმდეგემ საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა II საარმიო კორპუსს, 23-ე ბრიგადის შტაბებსა და მართვის პუნქტებს, მაგრამ სეპარატისტები ბრმად და ამიტომაც უშედეგოდ ისროდნენ.

იმავედროულად, სოხუმის თავზე

რუსული მოიერიშეები გამოჩნდნენ და მანათობელი ბომბების შუქზე ქალაქს ავიბომბებენ და აყარეს.

მტერი ზღვიდანაც აქტიურობდა. თბომავალი „კომსოლოლეც აბხაზი“ და კატარლები ქალაქს უმართავ რაკეტულ ჭურვებს უშენდნენ.

დაახლოებით 4 საათზე სეპარატისტთა დამრტყმელი ქვედანაყოფები რამდენიმე მიმართულებით შეტევაზე გადმოვიდნენ და დიდი დანაკარგის მიუხედავად, შეჩერებას არ აპირებდნენ.

23-ე ბრიგადის მე-6 ბატალიონს დაახლოებით 300 კაცი უტევდა, მოხერხდა 38 მებრძოლის განადგურება. ყველას ჯავშანჟილეტი ეცვა, ჰქონდათ ვაზნების დიდი მარაგი, ქართული ფორმირებების განლაგების სქემა, რომელზეც აგრეთვე მონიშნული იყო შეკრების ადგილები, სადაც ახალ დაფალებებს მიიღებდნენ.

მთავარი დარტყმის მიმართულებიდან ყურადღების გადასატანად დამხმარე შეტევა სოხუმის ჰესის მხრიდან შრომის დაჯგუფების პასუხისმგებლობის ზონაში განვითარდა.

მთავარი დარტყმა 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონმა მიიღო, რომელსაც პოზიციები რკინიგზის ხიდსა და წყალსაქაჩთან ჰქონდა დაკავებული. შეტევის მოგერიება ვერ მოხერხდა და მტერმა სიღრმეში შემოღწევა მოახერხა.

სოხუმის დამცველთა დასახმარებლად 16 მარტს, დილით, თბილისიდან მაიორ გოგი თათუხაშვილის მეთაურობით შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკის ქვედანაყოფი გაიგზავნა.

ქვედანაყოფს ფრონტის ყველაზე რთული მონაკვეთის — მე-2 ბატალიონის პოზიციებზე მოწინააღმდეგის შეჩერება, მისი განადგურება და საწყისი მდგომარეობის აღდგენა დაევა.

12 საათისათვის სეპარატისტებმა გემბითა და კატარლებით „მაიაკის“ რაიონში დესანტის გადმოსხმა სცადეს, მაგრამ „გრადების“ ცეცხლმა განზრახვაზე ხელი ააღებინა.

გამარჯვებაში დარწმუნებულ მოწინააღმდეგეს მეორე ეშელონის ძალები ბრძოლაში შესაცვანად მომზადებული ჰყავდა, როცა 17 საათსა და 30 წუთზე ქართული არტილერიის ცეცხლმა მოულოდნელად გუმისთის მარჯვენა სანაპირო დაფარა.

რადიოსაუბრებიდან ჩანდა, რომ იმ მხარეს ბევრი მოკლულ-დაჭრილი იყო და განუწყვეტლოვ სასწრაფო დახმარების მანქანებს ითხოვდნენ.

1993 წლის მარტში სოხუმმა მტრის



მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები შეტევის მიმართულებებისაკენ მიემართებიან და ცოტა ხნის შემდეგ ქართული არტილერიის ცეცხლქვეშ აღმოჩნდნენ

შემოტევა გაუძლო, რაც მთავარია, აფხაზურმა ფორმირებებმა ამ მარცხიანი ოპერაციის შემდეგ ბრძოლისუნარიანობა კარგა ხანს დაკარგეს, მაგრამ გამარჯვების შედეგი სამწუხაროდ, საქართველომ ვერ გამოიყენა.

ქართული მონაცემებით, მარტის ბრძოლებში მოწინააღმდეგის დანაკარგმა 600-დან 800-მდე კაცი შეადგინა. განადგურდა 1 ტანკი, 4 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 20 ავტომობილი და სხვა ტექნიკა. ჩვენმა დანაკარგმა 137

დაღუპულსა და 350 დაჭრილს მიაღწია.

აფხაზური წყაროები სხვა მონაცემებს იძლევიან, — 300-მდე დაღუპული და დაახლოებით 1200-1500 დაჭრილი.

სხვათა შორის ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ სოხუმში მყოფმა მამინდელმა სახელმწიფო მეთაურმა შევარდნაძემ ტელეინტერვიუში განაცხადა: „...რომ არა შინაგანი ჯარების მე-ბრძოლთა თავდადებული ბრძოლა, სოხუმი დაიკარგებოდა...“

თიემურ ჩაჩანიძე



ქართული არტილერიის ცეცხლის შედეგი

სამხრეთ ნახევარსფეროს ყველაზე დიდი ავიასალონი

10 მარტს ქალაქ ჯილონგის (შტატი ვიქტორია) აეროდრომ ავლონზე საერთაშორისო ავიაგამოფენა **Australian International Airshow** გაიხსნა. ავლონზე პირველი საჰაერო ჩვენებები 1957 წელს გაიმართა, როდესაც მელბურნის საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი მცხოვრებთათვის ქარხნის პროდუქციის გასაცნობად პატარა საჰაერო შოუს მოწყობა გადაწყვიტა. შემდგომში ავიაშოუ პერიოდულად ტარდებოდა, რეგულარული ხასიათი კი მან მხოლოდ 1988 წელს მი-


ილო. მას შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, მარტში ან თებერვალში ტარდება. წინა წლებთან შედარებით, 2009 წლის ავიაშოუ გაცილებით შთამბეჭდავი იყო, თითქმის 6000 კვმ ფართობზე გადაშლილი ექსპოზიცია მსოფლიოს 20 ქვეყნის 600-ზე მეტი კომპანიითა და 458 სხვადასხვა დანიშნულებისა და სახეობის საფრენი აპარატებით იყო წარმოდგენილი.

ტრადიციისამებრ, ავიასალონის უცვლელ სტუმრებს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღ-

ვო ფლოტის ავიაციის თვითმფრინავები წარმოადგენენ. გამოფენაზე მრავლად იყო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები და სხვადასხვა დანიშნულების სარაკეტო ტექნიკაც.

წლევანდელი გამოფენა ადამიანის მთვარეზე გაფრენის 40 წლის იუბილეს მიუძღვნეს. ექვსი თვითმფრინავის შემადგენლობითა და ჯგუფური საჰაერო პილოტაჟით ავიასალონი გახსნა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების საპილოტაჟო გუნდმა — **Roulettes-მა** (რომელიც ორად-

F-111-ის „ცეცხლოვანი ფრენა“
ავსტრალიური ავიასალონის
ერთ-ერთი ყველაზე
შთამბეჭდავი ნაწილია



პილოტების დიდი სიყვარულის მიუხედავად, შეიარაღებაზე მყოფი DCH-4 Caribou-სთვის წლევანდელი ავიასალონი უკანასკნელია



ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების დამრტყმელი Tiger-ი ყოველდღიური ეფექტური ფრენებით იწონებდა თავს




უკან დამწვარი საწვავის, 6-7მ-იანი ცეცხლოვანი შლიეფი ჩნდება.

ამერიკული თვითმფრინავებიდან სტრატეგიული ბომბდამშენები B-1B და B-52H, მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავები C-5 და C-17, მფრინავი ტანკერი KC-135 და გამანადგურებლები F-16, F/A-18F, F/A-18C და F-35 იყო წარმოდგენილი. სტრატეგიული ბომბდამშენები ავიასალონს საფრენოსნო პროგრამაშიც იყვნენ ჩართული და დაბალ სიმაღლეზე საკმაოდ ეფექტური ფრენები შეასრულეს.

გილიანი მსუბუქი ტურბოხრახნიანი Pilatus PC-9A-ებით დაფრინავს). მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელ-ბომბდამშენ F-111-ის ე.წ. „ცეცხლოვანმა ფრენამ“. ამ დროს პილოტი თვითმფრინავიდან საწვავის ავარიულ ჩამოსხმას იწყებს, სისტემის სარქველი თვითმფრინავის კუდში, ძრავას საქმენებს შორისაა განლაგებული, იქიდან კი მაღალი წნევით გამოტყორცნილი საწვავი ძრავების მაღალტემპერატურული გამონაბოლქვისგან ალდება და თვითმფრინავის



ამერიკული სტრატეგიული ავიაცია
და მისი წარმომადგენელი — B-1B
ავიასალონის მუდმივი სტუმარი



მასპინძელმა ქვეყანამ ავიასალონზე საფრენი აპარატების რამდენიმე ათეული წარადგინა. მათ შორის ქვეყნის შეიარაღებაში არსებული რამდენიმე F-111 (მათი ექსპლუატაცია 2010 წელს შეჩერდება) და F/A-18, რომლებსაც, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, 2014 წლისთვის სრულად ჩაენაცვლება მცხეთე თაობის F-35-ის

ტიპის გამანადგურებლები. ტექნიკის თანამედროვე ნიმუშების გარდა, ავსტრალიამ გამოფენაზე საკმაოდ ხანდაზმული, გასული საუკუნის 50-იან წლებში კანადური ფირმა De Havilland-ის შექმნილი სატრანსპორტო თვითმფრინავი DHC-4 Caribou წარადგინა. გამოფენაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, წელს ქვეყნის სამხედრო-სა-

ჰაერო ძალები შეწყვეტენ ამ თვითმფრინავების გამოყენებას, მათ 12 ახალი C-130J Super Hercules-ი შეცვლის.

ავსტრალიამ დამრტყმელი შვეულმფრენები Tiger-ი და მრავალმიზნობრივი UH-60 გამოიყვანა, რომლებიც თითქმის ყოველდღე სადემონსტრაციო ფრენებს ასრულებდნენ. ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შვეულ-

**საზღვაო ავიაციის
პილოტების მიერ,
შვეულმფრენებით
შესრულებულმა ჯგუფურმა
პილოტაჟმა დიდი
აჭიოტაჟი გამოიწვია**





მფრენებმა რამდენიმე ჯგუფური პილოტაჟიც შეასრულეს. შეუღლებულ ფრენების საკმაოდ დიდი ექსპონაცია ევროპულ ფირმა Eurocopter-ს ჰქონდა.

საბრძოლო ტექნიკასთან ერთად, მსოფლიოს სხვადასხვა კომპანიამ წარმოადგინეს ადმინისტრაციული, ბიზნესკლასის თვითმფრინავები, მათ შორის ებრაული IAI-1124 Westwind-ი, Gulfstream Aerospace G150 და Learjet 60XR-ი. შეიძლება კერძო მოხმარების მსუბუქი თვითმფრინავების ნახვაც.

საკმაოდ შთამბეჭდავი იყო მეორე მსოფლიო ომისდროინდელი თვითმფრინავების სახმელეთო ექსპონაცია და მათი საპაეო პროგრამები. წარმოდგენილი მანქანებიდან არაერთი თვითმფრინავი ოდესღაც ავსტრალიის შეიარაღებაში იყო, ბევრიც კერძო კოლექციონერებს ჰყავდათ წარმოდგენილი. მათ შორის გამანადგურებლები P-40, P-51 Mustang-ი, Spitfire, საბჭოთა ЯК-3, ამერიკული ბომბდამშენი B-25 Mitchel-ი და ნავსაწინააღმდეგო Catalina.

ოფიციალური ცნობით, გამოფენას ხუთი დღის განმავლობაში (10-15 მარტი) თითქმის 18300 კაცი დაესწრო, რისი წყალობითაც წლევანდელი Australian International Airshow სამხრეთ ნახევარსფეროს ყველაზე დიდ ავიაგამოფენად იქცა.

თემურ კულუზაშვილი



თავდასვის ექსპონისბრა ნელუი გაღაბუნა თავდასვა...



რუსეთ-საქართველოს ომზე უამრავი ურთიერთგამომრიცხავი შეფასება და დასკვნა გაკეთდა, – ზოგი ობიექტური, ზოგიც ტენდენციური. საზოგადოებისთვის საინტერესოა ნებისმიერი დეტალი, რომელიც ავგისტოს ომთან არის დაკავშირებული, მაგრამ ომის მონაწილენი შეცდომებზე საჯაროდ საუბარს გაურბიან. შსს-ს სპეცრაზმის ერთ-ერთი დანაყოფის მაიორის თქმით, ომის წაგების ერთ-ერთი მიზეზი არააკალიფიციური ჯადრები და მოუმზადებლობა იყო.

– ავგისტოს პირველ დღეებში ჩვენი დანაყოფი ზემო ნიქოზში იყო მობილიზებული. წინა ღამეებში სეპარატისტები განუწყვეტლავ ისროდნენ და მსხვერპლიც გვქონდა. 7 ავგისტოს ღამით როცა ცეცხლის გახსნის ბრძანება მივიღეთ, მძიმე ტექნიკისა და შეი-

არაღების მობილიზება ცხინვალის მმართველებით სწორედ ნიქოზიდან დაიწყო. ჩვენ პირველი შევედით ცხინვალში. მაშინ სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყვანილი. სეპარატისტები უკვე მსხვილკალიბრიანი იარაღსაც ისროდნენ. თავდაცვის სამინისტროს რეგულარული არმია ჩვენ უკან მოდიოდა. წინააღმდეგობა იმდენად მცირე იყო, რომ ჩვენი დანაყოფი რამდენიმე საათში შევიდა ცხინვალში. ქალაქი მოსახლეობისგან დაცლილი დაგვხვდა. კორპუსებში სეპარატისტები იყვნენ გამაგრებული.

– იქ რუსული თავდაცვის სამინისტროს შენაერთებიც ყოფილან მობილიზებული, ეს თუ იცოდით?

– ვიცოდით, რომ ქალაქი მოსახლეობისგან დაცლილი იყო, მაგრამ კორპუსებში ოსური შეიარაღებული ძალები იყვნენ გამაგრებული და იქიდან გვესროდნენ. ოსებს მძიმე ტექნიკა არ ჰყავ-

დათ, სანამ რუსები არ მიეშველნენ. წინააღმდეგობა მცირე იყო. ერთ დღე-დამეში ცხინვალს თითქმის სრულად ვაკონტროლებდით, მაგრამ ამ დროს რუსეთიდან დახმარება მიიღეს და ამან წელში გაგვტეხა... მაშინ მე უკვე გამო-სული ვიყავი, დავალება მივიღე.

— რა გვევალეობოდათ?

— ის კონკრეტული ამოცანა მხოლოდ მე მომცეს და მისი გამხელა არ შემიძლია. შსს-ს სპეცრაზმის დანაყოფების ერთი ნაწილი რეგულარულ არმიასთან ერთად იბრძოდა, ნაწილი კი კონფლიქტის ზონაში შედიოდა და გამოდიოდა. საჭიროებამ მოითხოვა და ყველა ფუნქცია გვექონდა შეთავსებული: იარაღის შეტანაც, ინფორმაციისა და კოორდინატების გადაცემაც, დაჭრილებისა და გარდაცვლილების გამოყვანაც... ბატებს ძალზე მძიმე და საპასუხისმგებლო მისია ჰქონდათ დაკისრებული და ყველაფერი ხარისხიანად გააკეთეს.

— თქვენ მითხარით, რომ საბრძოლო ოპერაციების დაგეგმარების უშუალო მომსწრე იყავით, ამ გადასახედიდან რა იყო სწორად გათვლილი და რა შეცდომები დაუშვით?

— უამრავი შეცდომა დაუშვით. ბევრ რამეს ვერ დაგაკონკრეტებ მისეხთა გამო. ჩვენდა საბედნიეროდ, შსს-ს სპეცდანაყოფებმა თითქმის ხარვეზების გარეშე იმუშავეს. იქნებოდა ეს ალყის გარღვევა და რეგულარული არმიის შენაერთების გამოყვანა თუ ინფორმაციის მოპოვება და კოორდინატების გადაცემა, მაგრამ ომს სპეცდანაყოფები ვერ მოიგებენ, ამისთვის რეგულარული არმია არსებობს. იქ კი არტილერიის გარდა, ყველა შენაერთის პრობლემები ჰქონდა.

— კონკრეტულად?

— ჩვენი დანაყოფებიდან მხოლოდ 17 ახალგაზრდა დაიღუპა, 30-მდე დაიჭრა და მხოლოდ ორი მანქანა დაგვკარგეთ, — ერთი ამოტრიალდა და გაიჭვდა, მეორე კი აფეთქდა და მაიორი გია რომელაშვილი, რომელიც მანქანას მართავდა, დაიღუპა...

— რა მანქანები გყავდათ?

— დაჯავშნული „კობრები“, ისინი ჰამერის ბაზაზეა აგებული, კუთხეები აქვს ისეთი, ყუმბარსატყორცსაც ისხლიტავს. ერთი საბურავიც რომ გაუფუჭდეს, მაინც მიდის. სულ რვა კაცი ეტევა: მძღოლი, მეთაური, ზემოდან,

ჰაგელზე ყუმბარსატყორცის დამაგრება შეიძლება და მსროლელიც ჯდება, შიგნით კი ექვსი მედეხანტე ეტევა.

— სპეცრაზმისა და რეგულარული არმიის შეიარაღება განსხვავებული იყო?

— დიახ... როგორც გითხარით, ჩვენ „კობრებით“ ვიყავით, ისინი კი T-72-ებით იყვნენ... იარაღი ერთნაირი გვექონდა, თუმც ბრძოლის შედეგს ეს არ განსაზღვრავს. ჩვენ წინასწარ მოპოვებულ ინფორმაციას ვეყრდნობოდით, — ჯერ რამდენიმე კაცი შედიოდა, დაზვერავდნენ, რა რაოდენობის საბრძოლო ტექნიკა და მეტრძოლი ჰყავდა მოწინააღმდეგეს, სად რომელ გზაჯვარედინზე უნდა გაველო და საით მიდიოდა. ამის მიხედვით ვადგენდით, რამდენკაციანი სპეცდანაყოფი იყო საჭირო. ცხინვალის ომში შსს-ს დანაყოფებს თითქმის სრული შემადგენლობით მოუწია მონაწილეობამ. ჩვენდა საამაყოდ, არც ერთი დეზერტირი არ გვეყავს.

— თქვენ თუ გადასწყვლინით მისართ ასეთ ვითარებას?

— არაერთხელ, მაგრამ ამასზე არაფერს ვიტყვი. აგვისტოს ომის შეცდომებზე ის სამხედრო პირი ილაპარაკებდა.



ყველა თაობის
საყვარელი გაზეთი
1934 წლიდან

აკებს, ვისაც სამსახურის დატოვება უნდა ან ხელმძღვანელობა აპირებს მის დათხოვნას. მე, ჯერჯერობით, არც ერთი შემუშრება და არც მეორე. ამიტომ თავს შევიკავებ. თუმცა, ვიტყვი: მაშინ, როცა რუსეთმა საჰაერო აგრესია დაიწყო, რასაც ჩვენები არ ელოდნენ, უამრავმა სამხედრო პირმა პოსტები მიატოვა. როცა გორი იბომბებოდა, შუა ქალაქში, ტრასაზე, რამდენიმე რეზერვისტი, მხრებაწურული და დაბნეული, წინ და უკან დარბოდა. ხომ შეიძლებოდა, ვილაცხას ეთავა და რეზერვისტები იქაურობისთვის გაერიდებინა?!.. რეზერვისტების ომში წაყვანა, შეცდომა იყო...

— ისინი ხომ მხოლოდ ზურგში მოქმედებდნენ?

— დიახ, მაგრამ უკან დახევა იმდენად არაორგანიზებულად დაიწყო, რომ რეზერვისტებმა უფრო მეტი პრობლემა შეგვიქმნეს, ვიდრე დაგვეხმარნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დანაყოფი მასშტაბური ომისთვის არ არის გაწვრთნილი, რამდენიმე საქმის ერთდროულად გაკეთება გვიწევდა. სპეცნაზს ოპერაციების ქალაქში ჩატარება ევალება, მიუხედავად იმისა, ჩვენმა ბიჭებმა ძალიან მობილიზებულად იმუშავეს... იარაღის დანაკარგი კი უმნიშვნელო გვექნა. დღეს ყველა ლაპარაკობს მართვისა და კავშირის უქონლობაზე, მაგრამ სხვა პრობლემებიც ჰქონდათ.

— რას გულისხმობთ?

— ბრძანებას ისეთი პირები იძლეოდნენ, ვისაც ომზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ადრევე უნდა გაეთვალათ, რომ ჯარისკაცი, რომელსაც ცალ ხელში მობილური უჭირავს და მეორეში — იარაღი, ომს ვერ მოიგებს. ჯარისკაცებში პანიკა არ უნდა იყოს. ჩვენ დაედიოდით და რაც შეგვეძლო, ვეხმარებოდით: ტექნიკას ვაწვდიდით, დაჭრილები და დაღუპულები გამოგვყავდა, ზემონიჭოზამდე მივიყვანდით, იქ სასწრაფო სამედიცინო დახმარება გვხვებოდა, ჩვენ კი ისევ უკან გბრუნდებოდით და ახალი პარტია გამოგვყავდა...

მე ვნახე უმაღლეს დონეზე მობილიზებული და მოტივირებული ჯარისკაცებიც, მაგრამ დაბნეული და შეშინებულიებიც, რომლებსაც თვალი გაქცევისკენ ეჭირათ. თავის დროზე იმაზეც უნდა გვეფიქრა, რომ რუსებს სპეციალური დანადგარების საშუალებით კავშირის ჩახშობა არ გაუჭრდებოდათ და რაციითა და მით უმეტეს, მობილურით დაკავშირება შეუძლებელი იქნებოდა. არტელერია რომ არ ყოფილიყო მაღალ



დონეზე მოშნადებულა, მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა. მხოლოდ არტილერიით ვერაფერს გახდები.

— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებაში ეს ყველაფერი არ ჰქონდათ გათვლილი?

— საქართველოს ხელმძღვანელობას ეგონა, რომ კონფლიქტში რუსეთი არ ჩაერთვებოდა. ჩვენც გვეგონა, რომ საქართველო-რუსეთს შორის ამ საკითხზე შეთანხმება არსებობდა რაღაცის ფასად, მაგრამ მოგტყუვდით. როცა რუსეთი საჰაერო იერიშზე გადაივიდა, ერთ-ერთი დიდმოხელე იმასაც კი ამბობდა, ნუ გეშინიათ, ჩვენები არიანო. იმ ხალხს კი, ვისაც კვალიფიციურ სპეციალისტობაზე აქვს პრეტენზია, ეგონა, რამდენიმე ჰაერსაფინააღმდეგო სისტემით რუსეთს დაფარცხებდით. არაკვალიფიციური ხალხი ყველგან სასჯელია, მით უფრო, ომში. ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა ბრძოლას ომის დროს სწავლობენ. ალბათ, ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ თავდაცვის ექსპერტებმა ოქრუაშვილმა წელში გადატეხა საქართველოს თავდაცვა, სისტემა თავისი სოფლიდან ჩამოყვანილი ტრაქტორისტებით გაავსო.

— ნაწილში პანიკის დათესვა მეთაურის ბრალია?

— არა, ჯარისკაცი ისე უნდა იყოს მოშნადებული, რომ თავისი საქმე შეასრულოს. სამდღიან ომში უამრავი იარაღი დაიკარგა. ასეთ შემთხვევაშიც

შეიძლება ჯარისკაცი იმიტომ გაამართლო, რომ შეეშინდა, იბომბებოდა და აბა, რა უნდა ექნაო? მაშინ რაღა განსხვავებაა სამოქალაქო პირსა და ჯარისკაცს შორის? აფხაზეთის ომის დროსაც შეეშინდათ მეომრებს, მათ წვრთნა და მოშნადება არ გაუვლიათ, მაგრამ მერე შეეჩვივნენ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რეზერვისტების ომში წაყვანა შეცდომა იყო-მეტქი. ერთ საათში კაცი ვერც იარაღს შეეჩვივა და ვერც საჭირო ფსიქოლოგიურ მოშნადებას მიიღებს...

— საკმაოდ მაღალი წოდება გაქვთ, უხერხულობას არ გიქმნით, რომ სამ დღეში წაგებული ომის მაიორი ხართ?

— რა ექნა?! აფხაზეთის ომი წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა, არადა მაშინ ჯარიც კი არ გვყავდა, სამხედრო ტექნიკასა და მაღალი დონის იარაღზე ხომ ლაპარაკიც შედმეტქია. ახლა კი ყველაფერი სამ დღეში დასრულდა. შეგვეძლო, უფრო ღირსეული წინააღმდეგობა გაგვეწია, ნაკლები მსხვერპლითა და დანაკარგით.

— მაგრამ რუსეთი საჰაერო იერიშს არ შეწყვეტდა...

— მერე რა? თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი დაბომბეს და მეტი რაღა უნდა ექნათ?! აბა, ის არის კარგი, ყველაფერი სამ დღეში რომ დაძთავრდა?!

ლალა კაპახსკირი

კავკასიური მოვლენების



აზერბაიჯანელთა
სპეცდანიშნულების
რაზმის ვარჯიში

აზერბაიჯანი

სომხეთი

27 თებერვალს აზერბაიჯანმა ავღანეთში მშვიდობისმყოფელთა დამატებით ორი ოცეული გაგზავნა და კონტინგენტი 47-დან 92 კაცამდე გაზარდა. აზერბაიჯანელები თურქული ბატალიონის შემადგენლობაში მსახურობენ.

გარდა ამისა, ქაბულის ხელისუფლების თხოვნით, აზერბაიჯანის სამხედრო სასწავლებლებში ავღანელი კურსანტები ისწავლიან. ბაქო დაქმნარება ავღანეთს სასაზღვრო ძალების მომზადება-გაწვრთნაში, გაუწევს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას ეკონომიკის აღდგენაში. ამ კონტექსტში გათვალისწინებულია ქვეყნის სამოქალაქო სასწავლებლებში სხვადასხვა სპეციალობაზე ავღანელი ახალგაზრდების სწავლის დაფინანსება.

აზერბაიჯანის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის საკმაო გამოცდილება აქვს. კოსოვოში 1999 წლიდან 2008 წლის 15 აპრილამდე თურქების სარდლობით 34 აზერბაიჯანელი სამხედრო მსახურობდა.

ერაყში ამჟამად 130 ჯარისკაცი და 20 ოფიცერი აგრძელებენ სამსახურს და ქალაქ ალ-ნადილას ჰესს იცავენ. გასული წლის ივნისის ბოლოს აზერბაიჯანელებს ერაყში ერთი ჯარისკაცი დაედუპათ.

კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციაში ოპერატიული რეაგირების ძალების შექმნასთან დაკავშირებით სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ეროვნული სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის უფროსმა, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, გენერალ-მაიორმა გაიკ კოტანჯიანმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: შარშანდელი აგვისტოს სამხრეთ ოსეთის სამწუხარო გამოცდილების გათვალისწინებით აგრესიის საწინააღმდეგო რეალური მექანიზმის ჩამოყალიბება დამატებითი გარანტია იქნება მათ შესაკავებლად, ვისაც ყარაბაღის კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტის იმედი აქვთ. კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციაში კოლექტიური სამხედრო კომპონენტის ჩამოყალიბება, რომელიც თან მართლწესრიგისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურებს მოიცავს, აამაღლებს საერთაშორისო ტერორიზმთან, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან, ნარკოტრაფიკთან ბრძოლის ეფექტიანობას, გააუმჯობესებს ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფებით გამოწვეულ შედეგთა დაძლევას.

სომხეთი ეროვნული თუ საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროებში პასუხისმგებლობის დემონსტრირების

მაგალითს იძლევა და გამოირჩევა საიმედო თანამშრომლობით ყველა პარტნიორთან როგორც კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციაში, ასევე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.

ჩრდილო კავკასია

რუსეთის ამ რეგიონში ვითარება ისევ რთულია და ბოვეიკთა შესაძლო რაოდენობის თაობაზე ოფიციალური პირები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებენ. შარშან რუსეთის შინაგანი ჯარის სარდალმა, არმიის გენერალმა ნიკოლაი რაგოჟკინმა 500 დაასახელა, მაშინ, როცა მხოლოდ ჩეჩნეთში გასულ წელს, ოფიციალური მონაცემებით, 540 ბოვეიკის გაუვნებლება მოხერხდა.

რამზან კადიროვის აზრით, ჩეჩნეთში მხოლოდ 50-60 ბოვეიკია. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არკადი ედელოვის ინფორმაციით კი, ჩეჩნეთში 500 ბოვეიკია და კიდევ მინიმუმ 120 ინგუშეთში იბრძვის. მისივე ინფორმაციით, ინგუშეთში ბოვეიკთა ხელშემწყობად კიდევ 1237 კაცი ითვლება. ედელოვის შემოთავაზებას იწვევს ბოვეიკთა შეიარაღებაში ახალი რადიომფეთქებლების გამოჩენა, რომელსაც ხელსაწყოები არ აფიქსირებენ.

კონფლიქტური რეგიონები

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის საოკუპაციო ჯარების სამხედროებს 25 თებერვლიდან შეღავათები მოეხსნათ. სამსახურის ვადად ერთი თვე სამ თვედ აღარ ჩაითვლება და დღიური მივლინება 54 დოლარიდან (ასეთი ნიხრი მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე 8 აგვისტოდან) რუსეთის ტერიტორიაზე მიღებულ სამივლინებო დღიურ 100 რუბლამდე (2,8 დოლარი) შემცირდა. ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებში რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ლუბოვ კუდელინას განცხადებით, სამივლინებო ხარჯები მას შემდეგ გადაიხედება, რაც



პიროსილვა...



ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქი მუდმივად მოქმედებს

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მშენებარე ბაზებს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭება.

აფხაზეთი

18-19 თებერვალს ჩატარდა სამეთაურო-სამშტაბო სწავლება „ჯარების ოპერატიული გაშლა“, რომლის მიზანი იყო საბრძოლო მოქმედებათა განახლების შემთხვევაში აფხაზეთი ფორმირებებისა და რუსული მე-7 ბაზის პირადი შემადგენლობის ურთიერთმოქმედებათა დამუშავება. სეპარატისტული აფხაზეთის შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი ზაიცევის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ეს უკვე მეორე სწავლებასაა.

მთიანი ყარაბაღი

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა მოვსეს აკოფიანმა გასული წლის შედეგების შეჯამებისას აღნიშნა, რომ 2008 წელს ყარაბაღის თავდაცვის არმიამ მოწინააღმდეგის პროვოკაციებს ღირსეული პასუხი გასცა და გამოყო 3-4 მარტის ინციდენტი, როცა მარდაკერტის რაიონის სოფელ ლევონართან აზერბაიჯანელთა სპეცდანიშნულების რაზმმა შეხების ხაზი გადალახა და ყარაბაღელთა პოზიციის დაკავებას შეეცადა. ბრძოლაში აზერბაიჯანელებმა 8 მებრძოლი დაკარგეს და უკან დაიხიეს.

გენერალ აკოფიანის თქმით, 2008 წელს ყარაბაღის თავდაცვის არმიამ

ორი მნიშვნელოვანი ტაქტიკური სწავლება ჩაატარა. ერთ-ერთზე ყარაბაღელთა შენაერთების აზერბაიჯანის ტერიტორიის სიღრმეში მოქმედება დამუშავდა. „აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენი ჯარები მზად არიან, საბრძოლო მოქმედებები აზერბაიჯანის სიღრმეში გადაიტანონ“, — განაცხადა გენერალმა აკოფიანმა. მისივე ინფორმაციით, გასულ წელს დიდი სამუშაო ჩატარდა ახალი შეიარაღების შესაძენად, თუმცა ყარაბაღელ მინისტრს იარაღის რაოდენობა და სახეობა არ დაუზუსტებია.

● 28 თებერვალს ყარაბაღის არმიის სამი ჯარისკაცი აზერბაიჯანის ადამის რაიონში გადავიდა და ერთ-ერთ ფერმასთან მივიდა, სადაც საკვები და წყალი ითხოვა. ადგილობრივმა მოსახ-

ლეებმა ჯარისკაცები დააკავეს და აზერბაიჯანელ სამხედროებს გადასცეს. ჯარისკაცთა ინფორმაციით, ნაწილში აუტანელი ატმოსფეროა. არაუადრეს აინტერესებს არმიაში შექმნილი ცუდი მდგომარეობა. ჯარისკაცებს ყურადღება აკლავთ. აქვე ფეხსაცმლისა და საკვების დეფიციტი.

ყარაბაღის თავდაცვის უწყებამ ფაქტი დაადასტურა და ჯარისკაცების ტყვედ ჩაგარდნა გაურკვეველი ვითარებით ახსნა.

ცხინვალის რეგიონი

კოკითი აგრძელებს სამხედროების დაჯილდოებას. მორიგი ღონისძიება 23 თებერვალს დაუკავშირდა და საახლით გამოირჩეოდა. მოწვეული სამხედროები, დეპუტატები თუ ვეტერანები ჯილდოზე თავიანთ კანდიდატს წარადგენდნენ, ახასიათებდნენ და აგვისტოს ომში გაწეულ მათ ღვაწლს აფასებდნენ. შემდეგ დამსწრეებმა თითოეულ კანდიდატს კენჭი ცალ-ცალკე უყარეს. სულ 182 პირი დაჯილდოვდა. მათ შორის 12-მა მიიღო ორდენი „უაცამონგაე“, 62-მა „მამულის დამცველის“ მედალი, 58-მა „სამხრეთ ოსეთში მშვიდობის სადარაჯოს სამსახურის“ მედალი, ხოლო დანარჩენებმა საპატიო სიგელები დაიმსახურეს.

ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილე არც ავღანეთის ომის ვეტერანები, თურგის კაზაკთა წარმომადგენლები და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები დაიფიცა და მათაც სხვადასხვა ჯილდო ჩამოურიგა.

თეიმურ ჩაჩანიძე

აფხაზეთში სეპარატისტებს სამხედრო აღლუმების გამართვა უყვართ



ადგილმდებარეობა დღესაც უცნობია.

1955 წლის 16 ივნისს, ქალაქ პორტლენდთან ახლოს, ბორტზე ტორპედოს აფეთქებას ბრიტანული წყალქვეშა ნავი HMS Sidon (P259) 13 მეზღვაურთან ერთად დაიღუპა.

ბალტიის ზღვაში, სურუპსკის სრუტეში საესკადრო ნაღმოსან **Статный**-სთან შეჯახების გამო 1956 წლის 23 ნოემბერს საბჭოთა ნავი M-200 ჩაიძირა. ეკიპაჟის 42 წევრიდან მხოლოდ ექვსი გადარჩა.

ერთი წლის შემდეგ ისევ ბალტიის ზღვაში, ამჯერად ტალინის სრუტეში, დიზელის ძრავის აფეთქების გამო ბალტიის ფლოტის M-256 ჩაიძირა. დაიღუპა ეკიპაჟის 28 წერი.

1958 წლის 30 ივნისს, სწავლებებისას, აშშ-ის დიზელექტრონული წყალქვეშა ნავი USS Stickleback-ი საესკადრო ნაღმოსან USS Silverstein-ს დაეჯახა. ოპერატიული ევაკუირების წყალობით ეკიპაჟი გადარჩა, ხოლო წყალქვეშა ნავი 3300მ-ის სიღრმეზე ჩაიძირა.

1960 წლის 14 ივნისს, პერლ-ჰარბორის ნავსადგურში, სატორპედო ნაკვეთურში მომხდარმა ხანძარმა ტორპედოების დეტონაცია გამოიწვია, რასაც ერთი მეზღვაურის სიცოცხლე შეეწირა.


1961 წლის 26 იანვარს ფრთოსანი რაკეტებით შეიარაღებული საბჭოთა დიზელექტრონული წყალქვეშა ნავი C-80 (პროექტი 644) ბარენცის ზღვაში სწავლებაზე იმყოფებოდა. ნავი საპერისკოპო სიღრმეზე გახსნილი მწორხელით მიცურავდა. როგორც შემდგომ გაირკვა, სიღრმეზე ჩასვლისას დაბალი ტემპერატურის გამო მწორხელის დამკვთი სარქველი არ ამუშავდა და ზღვის წყალი ხომალდის ძალურ დანადგარში მოხვდა. ხომალდმა დაკარგა ცურვის უნარი და ჩაიძირა. ეკიპაჟის 68 წევრიდან არც ერთი არ გადარჩენილა. C-80-ის ბედის გარკვევა მხოლოდ 7 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც სამაშველო ხომალდმა 196 მეტრის სიღრმეზე შემთხვევით ჩაძირული წყალქვეშა ნავი აღმოაჩინა. მომხდარის ზუსტი მიზეზის დასადგენად 1969 წლის 24 ივლისს C-80 წყლიდან ამოიღეს, თუმცა იმდენად დაზიანებული იყო, რომ მის აღდგენას აზრი არ ჰქონდა და ჯართად დაჭრეს.

1961 წლის 3 ივლისს ბალისტიკური რაკეტებით შეიარაღებული საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი K-19 სწავლება **Полярный круг**-ის ფარგლებში ატლანტიკის ოკეანის სამხრეთისკენ მიემართებოდა, როდესაც ნორვეგიის


კუნძულ იან-მაიენთან რეაქტორის ავარიული სისტემა ამუშავდა, რისი მიზეზიც მისი გაცევის პირველ კონტურში წყლის წნევის მკვეთრი დაცემა გახდა. რეაქტორის ტემპერატურა წელა, მაგრამ შეუჩერებლად იზრდებოდა და მალე მისი აფეთქების საშიშროება შეიქმნა. ეკიპაჟმა ბორტზე არსებული საშუალებებით რეაქტორის გაგრილების ალტერნატიული სისტემა მოიფიქრა. მაგრამ რვა მეზღვაურმა რადიოაქტი-


ური დასხივების სასიკვდილო დოზა მიიღო და რამდენიმე დღეში დაიღუპა.

1962 წლის 11 იანვარს, ეკატერინეს ყურეში ჩრდილოეთ ფლოტის დიზელექტრონული წყალქვეშა ნავი B-37 გემურ შემოწმებას გადიოდა, როდესაც პირველ სატორპედო ნაკვეთურში ერთ-ერთი ტორპედოს დეტონაცია მოხდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ სხვა თერთმეტი ტორპედოს დეტონაციაც გამოიწვია. ამ მომენტში



ატლანტიკის ოკეანეში 3300მ-ის სიღრმეზე ჩაძირული ამერიკული ატომური USS Scorpion-ის ფრაგმენტები — ფოტოებზე ნათლად ჩანს ნავის ჯიხური და კუდა ნაწილი





40 წლის განმავლობაში მომხდარი სამი ავარიის გამო, რომელთა დროსაც 30 კაცი დაიღუპა (კიდევ სამი ნავის მშენებლობისას), მეზღვაურებმა K-19-ს „პიროსიმა“ შეარქვეს

ხომალდის ყველა ნაკვეთურის სატიხრე ლიუკი ღია იყო და აფეთქების უძლიერესი ტალღა მთელ ხომალდზე გავრცელდა. ეკიპაჟიდან 57 წევრი მომენტალურად დაიღუპა. ტრაგედიის დროს B-37-ის გვერდზე მორე წყალქვეშა ნავი — C-350 იმყოფებოდა, რომლის კორპუსს ძლიერი აფეთქებისგან ბზარი გაუნდა და მისი პირველი ორი ნაკვეთური წყლით აივსო. დაიღუპა 11 კაცი, უშუალოდ პირსზე კი კიდევ 52 მეზღვაური.

იმავე წელს კიდევ ერთმა საბჭოთა წყალქვეშა ნავმა განიცადა ავარია. 8 სექტემბერს პირველ საბჭოთა ატომურ წყალქვეშა ნავზე — K-3 **Ленинский Комсомо́л** (პროექტი 627A)-ზე ნორვეგიის ზღვაში საბრძოლო მორიგეობისას პირველ და მეორე ნაკვეთურებში ხანძარი გაჩნდა. მართალია, ნავი ბაზაში დაბრუნდა, მაგრამ ხანძარმა ეკიპაჟის 65 წევრიდან 39 მეზღვაურის სიცოცხლე შეიწირა.

1963 წლის 10 ოქტომბერს აშშ-ის ატომური წყალქვეშა ნავი **USS Thresher**-ი გეგმურ ჩაყვინთვას ასრულებდა, როდესაც 400მ-ის სიღრმეზე ჩასვლისას ეკიპაჟმა ნავის მართვადობის გაუარესება შეამჩნია. ხომალდის მეთაურმა ზედაპირზე სასწრაფო ამოსვლის ბრძანება გასცა, მაგრამ საბალასტო ცისტერნების სისტემაში შეკუმშული ჰაერით დაბერვისას ყინული წარმოიშვა, რამაც წყლის ზედაპირზე ამოსვლას ხელი შეუშალა. უმართავმა ნავმა ჩაიძირა დაიწყო და მალე მისმა კორპუსმა წყლის წნევას ვეღარ გაუძლო. დაიღუპა ნავის მთელი ეკიპაჟი — 129 კაცი.

ორი წლის შემდეგ, 7 თებერვალს, სვედროდინისკის ქარხანაში საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავ K-11-ის რეაქტორიდან ბირთვულ საწვავს იღებდნენ. ტექნოლოგიის დარღვევის

გამო რეაქტორის სუფიდან რადიოაქტიური ჰაერორთქლოვანი მასის გაფონვა და რადიაციული ფონის მკვეთრი გაუარესება მოხდა. სამუშაო 12 თებერვალს განახლდა, მაგრამ სპეციალისტების მიერ მომხდარის მიზეზის არასწორად დადგენის გამო კვლავ დაირღვა უსაფრთხოების ზომები და რეაქტორის სუფის აწევისას რადიოაქტიური აირის ხელმეორედ გაფონვის გამო ხანძარი გაჩნდა. ნავის ეკიპაჟის ნაწილი დაიღუპა, ნაწილმა კი ძლიერი დასხივება მიიღო. ოფიციალური ცნობები დაღუპულთა და დაზარალებულთა შესახებ არ მოიპოვება.

1965 წლის 25 იანვარს, გაურკვეველ ვითარებაში **Triton**-ის კლასის ებრაული წყალქვეშა ნავი **INS Dakar**-ი დაიღუპა და თან მთელი ეკიპაჟი — 62 კაცი გაიყოლა.

ზუსტად ორი დღის შემდეგ ანალოგიურ ვითარებაში ხმელთაშუა ზღვაში ფრანგული წყალქვეშა ნავი **Minerve (S 647)**-ი დაიკარგა. მისი ზუსტი ადგილმდებარეობა, ისევე როგორც ეკიპაჟის 52 წევრის ბედი, დღემდე უცნობია.

1968 წლის 8 მარტს ატომური ბალისტიკური რაკეტებით შეიარაღებული საბჭოთა წყალქვეშა ნავი **K-129**, რომელიც წყნარი ოკეანის ფლოტილიას ეკუთვნოდა, დღემდე დაუდგენელი მიზეზებით კუნძულ ოჰაუდან 750 მილის დაშორებით ჩაიძირა. დაიღუპა ეკიპაჟის 98 წევრი. ამერიკელებმა შეძლეს მისი ადგილმდებარეობის დადგენა და 1974 წლის 12 აგვისტოს 5000მ-ის სიღრმე-დან ნაწილობრივ ამოიყვანეს (ოპერაცია „ჯინიფერი“).

იმავე წლის მაისში ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავი **USS Scorpion**-ი ატლანტიკის ოკეანეში საბრძოლო მორიგეობაზე იმყოფებოდა, როდესაც

ბაზაში დაბრუნებამდე ხუთი დღით ადრე, 22 მაისს გაურკვეველ ვითარებაში ჩაიძირა და ზღვის ფსკერზე ეკიპაჟის 99 წევრი გაიყოლა. მომხდარის მიზეზი დღემდე უცნობია, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, მიზეზი ტორპედოს აფეთქება იყო.

ამ შემთხვევიდან ორი დღის შემდეგ ბარენცის ზღვაში საბჭოთა ატომურ წყალქვეშა ნავზე **K-27** ავარიული შემთხვევა მოხდა. ძალური დანადგარის მუშაობის შემოწმებისას რეაქტორის სიმძლავრემ თვითნებური დაკლება დაიწყო. ეკიპაჟი ვერ გაერკვა სიტუაციაში და მისი გაზრდა დაიწყო. სწორედ ამ დროს რეაქტორის ნაკვეთურში რადიოაქტიურმა აირმა გაფონა. როგორც შემდეგ გაირკვა, ავარიის შედეგად აქტიური ზონის სითბოგამომყოფი ელემენტების 20%-ზე მეტი განადგურდა. მომხდარის გამოსწორებისას კი 9 მეზღვაურმა დასხივების სასიკვდილო რაოდენობა მიიღო.

1969 წლის 15 ნოემბერს თეთრ ზღვაში მდებარე პოლიგონზე სასწავლო ამოცანების შესრულებისას საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი **K-19** 60მ-ის სიღრმეზე ამერიკულ ატომურ წყალქვეშა ნავ **Gato**-ს (**SSN-615**) დაეჯახა. წყლის ზედაპირზე ამოსვლის შემდეგ ორივე ნავი ბაზაში თავისი სულით დაბრუნდა.

1970 წლის 4 მარტს, ხმელთაშუა ზღვაში, ქალაქ სან-ტროპესთან გაურკვეველ ვითარებაში ფრანგული წყალქვეშა ნავი **Eurydice** ჩაიძირა. დაიღუპა ეკიპაჟის 58 წევრი.

იმავე წლის აპრილში კატასტროფა კიდევ ერთმა საბჭოთა წყალქვეშა ნავმა განიცადა. ჩრდილოეთის ფლოტის საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი **K-8** (პროექტი 627A) საბრძოლო მორიგეობაზე ხმელთაშუა ზღვაში იყო, როდესაც ფართომასშტაბიან მანევრებში მონაწილეობის მისაღებად ატლანტიკაში გადასვლის ბრძანება მიიღო. ძალურ ელექტროსადენებში ცუდი იზოლაციის გამო მომხდარმა მოკლე ჩართვამ ერთდროულად ორ ნაკვეთურში ძლიერი ხანძარი გამოიწვია, რასაც 30 მეზღვაურის სიცოცხლე შეეწირა. წყალზე ამოსვლის შემდეგ ეკიპაჟის უმეტესი ნაწილი ბულგარულმა თბომავალმა გადაარჩინა. თუმცა რვა ბალიან ღელვაში 22 კაცი განაგრძობდა ბრძოლას ნავის გადასარჩენად, მაგრამ მალე **K-8**-მ დაკარგა მდგრადობა და 8 აპრილს ჩაიძირა.

1971 წლის 4 დეკემბერს პაკისტან-

ნური წყალქვეშა ნავი PNS Ghazi მესამე ინდოპაკისტანის ომისას თავისივე ეკიპაჟის დამონტაჟებულ ნაღმზე აფეთქდა. დაიღუპა ეკიპაჟის 92 წევრი.

1972 წლის 24 თებერვალს ატლანტიკის ოკეანეში საბრძოლო პატრულირებიდან ბაზაში დაბრუნებისას საბჭოთა ატომურ წყალქვეშა ნავის — K-19-ის მეცხრე ნაკვეთურში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც 28 კაცის სიცოცხლე შეიწირა. მეათე ნაკვეთურში მყოფი ეკიპაჟის წევრები ნავისგან იზოლირებული აღმოჩნდნენ და მათი გათავისუფლება მხოლოდ ბაზაში, 23 დღის შემდეგ მოხერხდა.

1973 წლის 14 ივნისს წყნარი ოკეანის ფლოტილიაში შემავალი საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავი K-56 საბრძოლო მორიგეობიდან ბაზაში დაბრუნებისას სამეცნიერო-კვლევით ხომალდ **АК-академик Берг**-ს დაეჯახა. ნავის ეკიპაჟის 27 წევრი დაიღუპა.

1980 წლის 21 სექტემბერს წყნარ ოკეანეში, კუნძულ ოკინავიდან 167კმ-ით აღმოსავლეთით საბჭოთა ატომურ სარაკეტო წყალქვეშა ნავ K-222-ზე გაჩენილმა ხანძარმა ეკიპაჟის 9 წევრის სიცოცხლე შეიწირა. სხვათა შორის, სიჩქარეში დამყარებული ამ ნავის მსოფლიო რეკორდი — 82,8კმ/სთ დღესაც არ არის გაუმჯობესებული.

ერთი წლის შემდეგ, 21 ოქტომბერს, წყნარი ოკეანის ფლოტილიაში შემავალი საბჭოთა დიზელელექტრონული წყალქვეშა ნავი K-178 ვლადივოსტოკთან ახლოს ხომალდ **Рефрижератор-13**-ს დაეჯახა და ჩაიძირა. დაიღუპა 31 კაცი. სამსახურებრივი გულგრილობის გამო ნავის კაპიტანსა და **Рефри-жератор-13**-ის კაპიტნის უფროს თანაშემწეს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 1981 წლის 15 ნოემბერს ნავი წყლიდან ამოიღეს, მაგრამ მის აღდგენას აზრი არ ჰქონდა და ჯართად დაჭრეს.

1984 წლის 18 ივნისს ჩრდილოეთის



ჩაიძრვიდან 20 წლის გასვლის შემდეგ, ბორტზე არსებული ორი ატომურქობინიანი ტორპედოს გამო, **КОМСОМОЛЕЦ**-ი დღესაც დიდ საშიშროებას წარმოადგენს

ფლოტის კუთვნილ საბჭოთა ატომურ წყალქვეშა ნავ K-131-ზე, რომელიც საბრძოლო მორიგეობიდან კოლის ნახევარკუნძულზე მდებარე ბაზაში ბრუნდებოდა, მე-8 ნაკვეთურში ხანძარი გაჩნდა და მეზობელ მე-7 ნაკვეთურსაც გადაედო. დაიღუპა 13 მეზღვაური. ხანძრის მიზეზად მოკლე ჩართვა დასახელდა.

1985 წლის 10 აგვისტოს ვლადივოსტოკთან მდებარე სარემონტო ქარხანაში სარაკეტო ატომურ წყალქვეშა ნავ K-431-ზე ბირთვული საწვავის გადატანისას უსაფრთხოების ზომების დარღვევის გამო იმდენად ძლიერი აფეთქება მოხდა, რომ რეაქტორის ხუფი მოგლიჯა და გამოიშუშაებული ბირთვული საწვავი გამოისროლა. ავარიის შედეგად 290 კაცი დაშავდა, აქედან 10 უშუალოდ აფეთქებისას დაიღუპა. ბევრმა სხვადასხვა დონის დასხივება მიიღო.

1986 წლის 3 ოქტომბერს საბჭოთა ბალისტიკურ რაკეტებიან ატომურ წყალქვეშა — K-219-ზე არასაშტატო სიტუაცია შეიქმნა. სარგასის ზღვაში საბრძოლო პატრულირებისას მე-6 სარაკეტო შახტაში დაზიანებული სარქველიდან ზღვის წყალმა შეაღწია. ცოტა ხანში შახტის ჰერმეტიზაცია დაირღვა და წყლით ავსება დაიწყო. ბირთვულ

ქობინიანი რაკეტის აფეთქების თავიდან ასაცილებლად შახტის წყლით სრულად შევსება და რაკეტის ავარიულ რეჟიმში გასროლა გადაწყდა, მაგრამ რაკეტა მაინც აფეთქდა. აფეთქების ძალამ ნავის მტკიცე კორპუსი გაგლიჯა და ნამსხვრევები ზღვაში გატყორცნა. კორპუსში წარმოქმნილი ნახვრეტიდან წყალმა ნავში შეაღწია.

ცურვის უნარის დაკარგვის გამო სუბმარინა ბუქსირზე სავაჭრო გემმა **Федор Бредкин**-მა აიყვანა.

ავარიულ ხომალდზე საფრთხეს ქმნიდა ბირთვული რეაქტორი, რომლის გათიშვა ავტომატიკის დაზიანების გამო არ ხერხდებოდა. მაშინ ორმა მოხალისე მეზღვაურმა თავის სიცოცხლის სანაცვლოდ რეაქტორის გათიშვა მაინც შეძლო და ბირთვული კატასტროფის აცილება მოახერხა.

K-219 კორპუსი წყლით შეივსო და 6 ოქტომბერს ნავი 5500მ-ის სიღრმეზე ჩაიძირა და თან 14 ბირთვულქობინიანი რაკეტა და ორი ატომური რეაქტორი გაიყოლა.

1988 წლის 23 ივლისს ტოკიოს ყურეში იაპონური წყალქვეშა ნავი **Nadashio** თევზსაჭერ ხომალდ **Daiichi Fujimaru**-ს დაეჯახა. დაიღუპა ამ უკანასკნელის ეკიპაჟის 30 წევრი.



K-219-ის ამ ფოტოზე ნათლად ჩანს ჯიხურის უკან აფეთქებით დაზიანებული სარაკეტო შახტი და ნავის კორპუსი

ფეხობდა. მომხდარის გამო 9 მეზღვაური დაიღუპა.

2005 წლის 8 იანვარს Los-Angeles-ის კლასის ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავი USS San-Francisco კუნძულ გუამთან წყალქვეშა რიფს შეეჯახა. დაიღუპა ეკიპაჟის ერთი წევრი.

შემდეგი წლის 6 სექტემბერს, ბარენცის ზღვაში პოლიგონზე ყოფინისას, ჩრდილოეთის ფლოტის კუთვნილ რუსულ ატომურ წყალქვეშა ნავს Б-414 Даниил Московский-ის ელექტრომექანიკურ ნაკვეთურში ხანძარი გაჩნდა, რამაც ეკიპაჟის ორი წევრის სიცოცხლე შეიწირა. ხანძრის ლოკალიზაცია მალევე მოხერხდა და ნავი ბუქსირებით ბაზაში დააბრუნეს.



2007 წლის 21 მარტს Trafalgar-ის კლასის ბრიტანული ატომური წყალქვეშა ნავის ჟანგბადის ბალონი აფეთქდა, რასაც 2 მეზღვაურის სიცოცხლე შეეწირა.

გასული წლის 8 ნოემბერს, სავალი გამოცდებისას, არასაშტატო სიტუაცია შეიქმნა რუსულ ატომურ წყალქვეშა ნავს K-152 Нерпа-ზე. ოფიციალური ვერსიით, ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა თვითნებურად გაააქტიურა და მასში შემავალი ფრეონით 20 კაცი სასიკვდილოდ მოიწამლა.

ბოლო შემთხვევა ამა წლის 3 თებერვალს მოხდა (სწორედ ამით დავიწყეთ ეს სტატია), როდესაც ფრანგული და ბრიტანული ატომური წყალქვეშა ნავები Le Triomphant-ი და Vanguard-ი ატლანტიკის ოკეანეში ერთმანეთს შეეჯახნენ. ამ დროს ბრიტანული ნავი „ტრაიდენის“ კლასის 16 ბირთვული რაკეტით იყო შეიარაღებული. შეჯახების შედეგად, რამაც მსხვერპლის გარეშე ჩაიარა, Vanguard-ი ძლიერ დაზიანდა და ბაზაში დაბრუნება მხოლოდ ბუქსირების საშუალებით შეძლო. ფრანგული Le Triomphant-ი კი შინ თავისი სვლით დაბრუნდა.

თეიმურ კულუზაშვილი

1993 წელს, რუსულ წყალქვეშა ნავთან შეჯახების შემდეგ, USS Grayling-მა კიდეც ოთხი წელი იმსახურა



ფრანგული Le Triomphant-ი და ბრიტანული Vanguard-ი, რომლებიც ამა წლის 3 თებერვალს ერთმანეთს ატლანტიკის ოკეანეში შეეჯახნენ



ინდოეთი ახალ სიხლუ აჰიაგანაღგუარაღაგაჰი სჰის

ქალაქ ბანგოლოურში მიმდინარე საერთაშორისო გამოფენა Aero India 2009-ზე ცნობილი გახდა, რომ ინდოეთის თავდაცვითი მრეწველობა მსუბუქი საბრძოლო თვითმფრინავის — LCA Tejas-ის მოდერნიზაციისათვის სამუშაოების დაწყებას გეგმავს. მოდერნიზებული თვითმფრინავი მიიღებს აღნიშვნას Mk.2.

აეროინდიაკის გასაუმჯობესებლად თვითმფრინავი უფრო ძლიერი ძრავით აღიჭურვება, შეიცვლება ფიუზელაჟი და ფრთების ზომაც მოიმატებს. ახალი მოდიფიკაციის 20 ერთეული Tejas Mk.2-ის შეკვეთას ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალები მშენებარე ავიამზიდისათვის აპირებს.

თვითმფრინავის პირველი პართა 20 ავიამზანადგურესლისა და ამდენივე სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავიდან შედგება და საპროექტო ძალებისათვის მიწოდება 2011 წლიდან დაიწყება. ამის შემდეგ Mk.2-ის წარმოება იგეგმება.

Tejas Mk.1-ის მაქსიმალური საფრენისი მასა 10500-12500 კილოგრამია, ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 11 ათას მეტრზე 1,6 M-ია, ფრენის პრაქტიკული ჭერი — 15240 მეტრი, საბრძოლო დატვირთვა კი 4 ათასი კილოგრამი.



ფრანგული სარაკეტო ატომური წყალქვეშა ნავი ფლანკირდება გვიდა


Le Triomphant-ის სერიის უახლესმა ფრანგულმა სარაკეტო ატომურმა წყალქვეშა ნავმა Le Terrible-მა იანგრის ბოლოს მშრალი დოკი დატოვა და ღია ზღვაში სავალი გამოცდების ჩასატარებლად გვიდა. Le Terrible სერიის ბოლო მეთხუე წყალქვეშა ნავია და ფლოტს მიამბოდ 2010 წელს უნდა გადაეცეს.

Le Terrible-ის მშენებლობა 2000 წელს დაიწყო. მისი წყალწევა 14300 ტონას აღწევს, ხოლო წყალქვეშა ცურვის სიჩქარე 25 კვანძია. ჩაყვინთვის სიღრმე 400 მეტრია. მკაბაჟი 15 ოფიცრისა და 96 მატროსისაგან შედგება.


ატომური სუბმარინის შვიარ-აღებაში ბოლო თაობის 16 ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო რაკეტა M51 შედის, რომელიც 8 ათას კილომეტრზე დაფრინავს. სერიის წინა სომალდეები M45 მოდელის რაკეტებით არიან აღჭურვილები და M51-ს ფრენის სიშორით 1,5-ჯერ ჩამოუკვარდებიან.

მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად სომალდი აღჭურვილია 533 მმ-იანი ოთხი სატორპედო აპარატითა და F-17-ის ტიპის ტორპედოებით, ხოლო წყალზედა სამიზნეების წინააღმდეგ სომალდსაწინააღმდეგო „იკოსოტ“ SM-39-ის ტიპის რაკეტები გამოიყენება.






BTR-3
(UKRAINE)



საგარეო ურთიერთობები



IDEX-2009



საამიროებს 48 ასეთი საბრძოლო-სასწავლო M-346-ის შეძენა 1.27 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ

26 თებერვალს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ქალაქ აბუ-დაბიში, თუდაცეითი შეიარაღების საერთაშორისო გამოფენა IDEX-2009-მ დაასრულა მუშაობა. გამოფენას პატრონაჟს, რომელიც დასაბამს 1993 წლიდან იღებს, საამიროების პრეზიდენტი შეიხი ხალიფა ბენ ზაიდ ალ-ნაჰაიანი უწევს და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, თებერვლის მეორე ნახევარში ტარდება. რიგით მეცხრე IDEX-2009 22 თებერვალს გაიხსნა. 2007 წელთან შედარებით, საგამოფენო პავილიონების ფართი 50%-ით გაიზარდა და 108 ათასი კვმ დაიკავა.

გამოფენაზე პროექცია მსოფლიოს 50 ქვეყნის სხვადასხვა სახის იარაღის მწარმოებელმა 897-მა ფირმამ წარადგინა, რისი წყალობითაც წლევანდელი IDEX-2009 მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უდიდეს იარაღის გამოფენად იქცა.

ექსპოზიციის ყველაზე სოლიდურ წევრად 57 კომპანიით გერმანია გახდა. აშშ — 44-ით, თურქეთი კი 34 კომპანიით იყო წარმოდგენილი.

გამოფენაზე აქცენტი თვლიან შასიზე შექმნილ ჯაჟმანმანქანებზე, ჯაჟმანტრანსპორტიორებსა და ნაწილობრივ ქვეითა საბრძოლო მანქანებზე იყო გაკეთებული. თურქულმა კომპანია FMC-Nurol Defense Systems-მა გამოფენაზე თურქეთის არმიის შეიარაღებაში ახლახ-



2006 წელს შექმნილი უკრაინული ჯაჟმანმანქანა D30p-B



უცხო ტექნიკის გადაკეთებით ცნობილმა ჩინეთმა გამოფენაზე, რუსული СМЕРК-ის „რემეიქი“ წარმოადგინა



სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტებით შეიარაღებული ჩინური ჯავშანტრანსპორტიორი TY-90

ჩინეთის ექსპოზიცია იქცა, რომელიც წარმოდგენილი ტექნიკის ნაირსახეობითა და მრავალფეროვნებით აშკარად გამოირჩეოდა. თუმცა, როგორც ყოველთვის, ჩინური პროდუქცია რადიკალური სიახლეებით არ გამოირჩეოდა. ვითომ ახალ მობილურ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსში საბჭოთა Oca-ს, ათლულიან ზაღპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემაში კი Смерч-ის ამოცნობა შეიძლებოდა.

ამერიკულმა ფირმა Force Protection-მა ჯავშანავტომობილების — Buffalo-სა და თორმეტ კაცზე გათვლილი თვლების 6x6-ფორმულიანი Cougar-ის წარმოდგენასთან ერთად, რომლებსაც ამჟამად კოალიციური ჯარები ერაყსა

და ავღანეთში იყენებენ, ახალი თვლების 4x4-ფორმულიანი პატარა Cougar-ის პრეზენტაცია მოაწყო.

რუსეთის იარაღის მწარმოებელი 27 ფირმა გაერთიანებული კორპორაცია „როსტეხნოლოგიით“ იყო წარმოდგენილი. კონცერნმა Алмаз-антей-მ, რომელიც მსოფლიოში საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებითაა ცნობილი, IDEX-2009-ზე ახალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები С-400 Триумф, Бук-М2Э და Тор-М2Э წარადგინა და პირველად პრეზენტაციის ფარგლებში კომპლექს С-400-ის შესაძლებლობები დაასახელა, თუმცა ნაკლებსაზარაულოა, ისინი ზუსტი იყოს.

რუსულ კომპანიებს შორის ყველაზე

დიდი ხალხმრავლობა ტულის მოწვობილობათა მშენებელ საკონსტრუქტორო-ბიუროს ექსპოზიციასა და საქვემხო-სარაკეტო კომპლექს Панцирь-1С-თან იყო, რომელიც ბოლო დროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქვე იყო წარმოდგენილი საკონსტრუქტორო ბიურო Bazalt-ისა და იორდანისა ერთობლივად შექმნილი ტანკსაწინააღმდეგო ვუმბარსატყორცნი РПГ-32 „კაში“ და ახალი 40მმ-იანი ავტომატური ქვეითსაწინააღმდეგო ვუმბარსატყორცნი Балкан-ი, რომლის სროლის ეფექტიანი მანძილი 2500მ-ს შეადგენს.

მასპინძელ ქვეყანას გამოეფინაზე, ძირითადად, თავისი არმიის შეიარაღებაში არსებული ტექნიკა ჰყავდა გამოყვანილი, თუმცა საკუთარი რუსურებით შექმნილი რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი წარადგინა.

ხუთი დღის განმავლობაში გამოეფინა 150 ოფიციალური დელეგაცია და 45 ათასი კაცი სტუმრობდა, მაგრამ გაცილებით შთამბეჭდავია IDEX-2009-ზე დადებული კონტრაქტების ღირებულება. მხოლოდ პირველი სამი დღის განმავლობაში საამიროების მიერ სხვადასხვა სახის შეიარაღებაზე დადებული კონტრაქტების საერთო ღირებულებამ 3,5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. მთლიანად კი, ოფიციალური მონაცემებით, საამიროებმა ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებაზე ამ ხუთი დღის განმავლობაში 4,6 მილიარდი დოლარი დახარჯეს (შედარებისთვის: ორი წლის წინ ეს თანხა მხოლოდ 918 მილიონს შეადგენდა). მათ შორის სხვადასხვა სახის შეიარაღების ტრენაჟორული სისტემების მწარ-



მინსკის თვლიან სპეცგამწვეთა ქარხნის ახალი ქმნილება



მოებულ გერმანულ ფირმა Rheimentall Defence Electronics-თან 126-მილიონიანი კონტრაქტი გაფორმდა. ფირმა Agusta Westland-ის შვიდი სამაშველო შევუღმფრენის შეძენა 36 მილიონი დოლარი დაჯდა. კიდევ 205,1 მილიონი კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის უახლესი სისტემების შეძენას მოხმარდა. კიდევ 241, 191,6 და 8,7 მილიონი ფრანგულ-გერმანული წარმოების Cobra-ს ტიპის რაიოლოკაციური ბრძოლის სისტემების, გერმანული ფირმა Rheimetall-ის 27მმ-იანი ქვექმებისა და შვეიცარიული ფირმა Vectronix AG-ის საარტილერიო კონტროლების სისტემების შეძენას მოხმარდა.

IDEX-2009-ზე მყოფ მაყურებელს ახალი თურქული ჯავშანმანქანა Kaya-ს ხილვა შეეძლო



გარდა ამისა, IDEX-2009-ის მსვლელობისას საამიროების თავდაცვის სამინისტრომ მსუბუქ საბრძოლო-სასწავლო თვითმფრინავის შეძენაზე გამოცხადებული ტენდერის ფინალისტი – იტალიური ფირმა AerMacchi და მისი M-346 დაასახელა. კონკურსის ფარგლებში საამიროები 1,27 მილიარდ დოლარად 48 თვითმფრინავს შეიძენენ.



ყველაზე დიდი ხელშეკრულება საამიროების სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის ოთხი C-17 Globemaster III-ისა და 12 მოდერნიზებული C-130J Super Hercules-ის ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავების შესყიდვის კონტრაქტია, რომლის ჩატარების და ფინანსირების უფლებაც კომპანია Waha Capital-მა მოიპოვა. მისი საერთო ღირებულება 3 მილიარდ დოლარს შეადგენს, საიდანაც 1,6 მილიონი Super Hercules-ებისა და 1,4 მილიონი კი Globemaster-ის შეძენას მოხმარდება.

თავისი არმიის შეიარაღებაში არსებული ტექნიკის გარდა, საამიროებმა გამოფენაზე ახალი ჯავშანმანქანა Nimr-ის რამდენიმე ვარიანტი წარადგინეს

თეიმურ კულუჩაშვილი

გერმანელების მიერ 2007 წელს შექმნილი ტანკი Leopard 2A6



პრაქტიკული სროლა

მსჯელობის საიდუმლოებიანი

პრაქტიკული სროლა სასროლო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე სახალისო სახეობაა. მისი მეჯობრეები მეტად სანახაობრივი, დინამიური და დრესასწაულს ჰგავს. მეჯობრეებაზე პისტოლეტებსა და რევოლვერებს, გლუვლულიან იარაღსა და გადაჭრილ ქარბინებს ისვრიან. პისტოლეტის სროლის ტექნიკა ყველაზე მეტად საინტერესო და რთულია. ალბათ, ძნელად მოიძებნება სპორტის სახეობა, რომელიც ამგვარ ნერვების დაძაბვას, ინტელექტის ჯონცენტრაციასა და სპორტსმენის ენერგიის ხარჯვას მოითხოვს.

სროლა მოძრაობისას

პრაქტიკული სროლის საერთაშორისო კონფედერაციის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში მსროლელები ერთი კვადრატული მეორისკენ გადაადგილებისას სტატიკური პოზიციებიდან ისროდნენ. პრაქტიკული სროლის განვითარებასთან ერთად შეიქმნა სავარჯიშოები, სადაც სპორტსმენს საშუალება მიეცა მორიგ სასროლო პოზიციებზე მიზანი მოძრაობისას დაეზიანებინა.

მოძრაობისას სროლით სპორტსმენი დროს იგებს, ე.ი. შედეგსაც აუძობს. ბოლო წლებში სავარჯიშოებზე მიზნების 60-70% განლაგებულია ისე, რომ მათი დაზიანება მოძრაობისას შეიძლება. ამიტომაც მოძრაობით სროლა უფრო ბევრჯერ უწევს მსროლელს, ვიდრე სტატიკურ პოზიციებში.

როდესაც პრაქტიკულ სროლაში ინტენსიური ერთკვირიანი კურსები ტარდება, ზოგიერთი ინსტრუქტორი ახალ მსროლელებს მოძრაობით სროლას მეორე დღიდანვე აწყობენ და ახალბედები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ამტკიცებდნენ, ცალი ხელით სროლა უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ორივეთი, უკვე მოძრაობისას ისვრიან და შესაძლებელია კი თავად ეკითხებიან ინსტრუქტორს: რა საჭიროა სტატიკური პოზიციებიდან სროლა, ხომ შეიძლება ერთდროულად ორი საქმის გაკეთება: გადაადგილება, თან ახლომდებარე მიზნების დაზიანება და ამით სავარჯიშოს შესრულების დროის შემცირება.

სინამდვილეში მოძრაობისას სროლა სულაც არ არის ძნელი. ბუნებრივია, უნდა გქონდეს სროლის გან-



სპორტსმენი იძულებულია გვერდულად იმოძრაოს და მარჯვნივ განლაგებული მიზნები ისე დააზიანოს

საზღვრული ტექნიკა. სამწუხაროდ, ვერც ერთ უცხოურ გამოცემაში ვერ ნახავთ სხვადასხვა მანძილზე განლაგებული მიზნების მოძრაობით დაზიანების დეტალურ აღწერას. ჯერაც არაფერს მოუყრია თავი ამ ტექნიკის ყველა იმ ელემენტისათვის, რომლებიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, შეჯობრებების მსვლელობის დროს. თუკი მსროლელმა აითვისა სასხლეტის დამუშავება და გასროლა, მას უკვე შეუძლია მოძრაობით სროლა. გაიხსენეთ ბარტყები, — თავდაპირველად ფრენას სწავლობენ, მერე კი სიარულს. თუმცა ფრენა, ჩვენი გაგებით, გაცილებით ძნელია.

როცა მოძრაობისას სროლაზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუკი მოძრაობით მიზნის დაზიანება

შეისწავლეთ, ყველა მიზანი ასევე უნდა დააზიანოთ. ყოველთვის ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უნდა იხელმძღვანელოთ.

პრაქტიკული სროლის საერთაშორისო ფედერაციის შეჯობრებებზე სავარჯიშოების შესრულებისას მსროლელის მიზანი უნდა იყოს არა სროლის სილამაზით დამსწრეთა გაცემა, არამედ მინიმალურ დროში ყველა მიზნის დაზიანება. ამიტომაც მსროლელმა, მოზადების დონიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვიტოს, რამდენად სწრაფად შეუძლია სავარჯიშოს შესრულება: მიზნის დაზიანება, სასროლო პოზიციებს შორის მოძრაობა ან მოსახერხებელ პოზაში სწრაფად და სწორად მიზნების დაზიანება, მერე კი ასევე სწრაფადვე გადაადგილება.


კორპუსის მდგომარეობა

მოძრაობით სროლისას სხეულის სიმძიმის ცენტრი უფრო დაბლა უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი სიარულისას ან სირბილისას. კორპუსის ზედა ნაწილი პისტოლეტით თითქოს უნდა „მიცურავდეს“ ერთ პორიზონტალურ დონეზე. ეს საშუალებას მისცემს მსროლელს კარგად დაუმიზნოს მიზანს და გაისროლოს. წარმოდგინეთ, როგორ მოძრაობს ოფიციალტი ლანგრით ხელში ან ოპერატორი — კამერით. მოძრაობისას ფეხები ნახევრად მოხრილი უნდა გქონდეთ და წარმოსახვით პირდაპირ ხაზს უნდა მიჰყვებოდეთ. ამით თავიდან აიცილებთ კორპუსის აქეთ-იქით რწევას. მოძრაობით სროლისას, როგორც წესი, კორპუსი ოდნავ წინ გადახრილი უნდა იყოს იარაღის მდგრადობის შესანარჩუნებლად.

მიზნის მოძრაობით დაზიანების ხერხები

შეგახსენებთ, რომ დამიზნებაზე, მიზნებს შორის მანძილსა და გადაადგილების სისწრაფეზე რეკომენდაციები პრაქტიკული სროლის საერთაშორისო ფედერაციის მომზადების საშუალო დონის მქონე მსროლელისთვის არის განკუთვნილი. დამწყები მსროლელებისთვის, მათი მომზადების პროპორციულად, ეს პარამეტრები უნდა გაიოლდეს.

გადაადგილების დროს მსროლელის ფეხები ოდნავ მოხრილი უნდა იყოს და სწორხაზოვნად მოძრაობდეს




მოძრაობით სროლისას რეალურ მიზნებად ითვლება მუყაოს მიზნები, პოპერები და 30სმ დიამეტრის ფოლადის თეფშები, რომლებიც 15მ მანძილზეა განლაგებული. 15-20სმ დიამეტრის ფოლადის თეფშების, მინიპოპერებისა და ჩასათვლელი ზონით ნახევრად გადაფარული მიზნების მოძრაობით დაზიანება არ არის რეკომენდებული. განსაკუთრებით სარისკოა იმ მუყაოს მიზნებისთვის სროლა, სადაც ჩასათვლელი ზონის დიდი ნაწილი საჯარიმო მიზნით არის გადაფარული.

15 მეტრზე შორს განლაგებული მიზნების მოძრაობით დაზიანება სასურველი არ არის. ასეთი მიზნების დაზიანება ხშირად გაცილებით ეფექტიანია მოხერხებულ პოზაში დგომით, მერე კი მორიგ სასროლ პოზიციაზე სწრაფად გადაადგილება. თუმცა, პროფესიონალი მსროლელები მიზნებს 20 მეტრზე შორსაც აზიანებენ და ამასთან, სწრაფადც გადაადგილდებიან.

მოძრაობით სროლისას გადაადგილების სიჩქარე მიზნების სიშორესა და მსროლელის გამოცდილებაზეა დამოკიდებული. 3 მეტრამდე მანძილზე განლაგებული მიზნების დაზიანებისას გადაადგილების სიჩქარე, ისევე როგორც სროლის სისწრაფე, მაქსიმალურია, მიზნიდან მიზანზე იარაღის გადატანა კი მომენტალური და აგრესიული. სხვანაირად რომ ვთქვათ, მსროლელი ასეთ მიზნებს სირბილით აზიანებს, სიჩქარის

გადაადგილება გვერდულად



გაუნელებლად. ასეთ შემთხვევაში დამიზნების ის ვარიანტი გამოიყენება, როცა მსროლელს შვერა მიზანზე აქვს ფოკუსირებული, პერიფერიული მხედველობით კი ნიშანსა და მეზობელ მიზნებს აკონტროლებს. გახსოვდეთ, რომ მსროლელი სროლისას ყოველთვის უნდა ხედავდეს ნიშანს, დამოუკიდებლად იმისა, რა მანძილზეა განთავსებული მიზანი. ახლო მანძილზე სროლისას საგაღებულო არ არის მსროლელმა ზუსტად შეუთავსოს ერთმანეთს დასამიზნებელი მოწყობილობები, მაგრამ ნიშანი კი არ უნდა დაკარგოს მხედველობის არედან. თუ მსროლელი ახლოგანლაგებულ მიზნებს აზიანებს, დაუმიზნებლად, „ინტუიციით“, სროლის სისწრაფე არ გაიზრდება და ამასთან დროდადრო მიზანს ააცილებს. პრაქტიკული სროლის საერთაშორისო ფედერაციის შეჯიბრებებზე არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა გამოცდილი მსროლელი გარბენისას 2-3 მეტრზე განლაგებულ მიზნებს დაუმიზნებლად ორჯერ ესერის და ორივეჯერ ფუჭად. „ინტუიციური სროლა“ სროლას ერთგვარ რომანტიკულ ელფერს კი სძენს, მაგრამ შედეგს არ აუშვებებს.

4-დან 10 მეტრის სიშორეზე განთავსებული მიზნების დაზიანებისას, მსროლელი ენერგიულად და მსუბუქად უნდა მოძრაობდეს და ეცადოს, სიმძიმის ცენტრი ერთ დონეზე შეინარჩუნოს. მიზნები უნდა დააზიანოს მიზანსწრაფულად, დამიზნების მეორე ვარიანტის გამოყენებით, — ე. ი. შვერა ფოკუსირებული აქვს მიზანზე, ნიშანი — ამოღებული და ორივე ბუნდოვნად ჩანს.

10 მეტრზე შორს განლაგებული მიზნების დაზიანებისას მსროლელმა მსუბუქად უნდა იმოძრაოს, სიმძიმის დაბალი ცენტრით. ფეხები წარმოსახვით სწორ ხაზს მიჰყვება. მიზნები თანამიმდევრულად, დამიზნების პირველი ვარიანტით უნდა დააზიანოს, — შვერა ფოკუსირებულია ნიშანზე, დასამიზნებელი მოწყობილობა მთლიანად შეთავსებული და მიზანი ბუნდოვნად ჩანს. ამ შემთხვევაში სასურველია იმ დროს გაისროლოს, როცა სხეულის მასა ერთი ფეხიდან მეორეზე გადააქვს. თუ მსროლელი მაშინ გაისერის, როცა მეორე ფეხი მიწას შეეხება, მაშინ ფეხის მიწის ზედაპირთან შეხებისას წარმოქმნილი რხევა პისტოლეტს გადაედება, რითაც შეიძლება ცუდი შედეგი მიიღოს.

მოძრაობით სროლის დამუშავებისას არ უნდა შეუშინდეთ მეორე ფეხის მიწასთან შეხებისას სროლას. არ უნდა იფ-

იქროთ, რომელი ფეხი სად დადგათ. მთავარია, სხეულის ცენტრის სიმძიმე ქვემოთ იყოს. რამდენიმე ხანში, წვრთნების შემდეგ, მოძრაობით სროლას თავისთავად აუღებთ ალღოს და სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობით (რაც დამოკიდებული იქნება მიზნებამდე მანძილზე) დაახიანებთ მიზნებს ისე, რომ არც ჩაუფიქრდებით ტექნიკის დეტალებს.

სუნთქვა

შორს მდებარე მიზნების ადგილიდან ან მიბრუნებით დახიანებისას მსროლელი სასხლეტის დამუშავებისას სუნთქვას იკავებს. პრაქტიკულ სროლაში კი აუცილებელია თავისუფალი სუნთქვა, რადგან შეუძლებელია მიზნების დახიანება ინტენსიური მოძრაობისას სუნთქვის შეკავებით. ეს არც არის საჭირო. პისტოლეტი ორივე ხელით დაუმიზნეთ მიზანს და ეცადეთ, მუცლით ისუნთქოთ ისე, რომ გულმკერდი არ ჩართოთ. გულმოდგინე ვარჯიშის შემდეგ მუცლით სუნთქვა დასამიზნებელ მოწყობილობებზე ზეგაულებს არ მოახდენს. მუცლით სუნთქვა სრულიადაც არ უშლის ხელს დამიზნებასა და გასროლას.

მოძრაობის მიმართულება

სავარჯიშოების შესრულებისას მოძრაობით სროლისას მსროლელს შეუძლია გადაადგილდეს წინ, უკან, მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ. ზოგჯერ დაბრკოლებების გვერდის ავლით დიაგონალზე და დაკლანკილ ტრაექტორიებზე მოძრაობაც უწყვეს.

ყველაზე მარტივი და იოლად ასათვისებელია მიზნების წინ სვლით დახიანება. მსროლელი უნდა გაჰყვეს წარმოსახვით ხაზს და სხეულის სიმძიმის ცენტრი ქვემოთ ჰქონდეს. სირთულეს ქმნის იარაღის ე.წ. ფართოდ გადატანა მაშინ, როცა მიზნები მარჯვნივ და მარცხნივ არის განთავსებული. ეს დაბრკოლება შეიძლება იოლად დაიძლიოს ვარჯიშით. უნდა გაითვალისწინოთ, რომ მსროლელ-„მემარჯვენესთვის“ უფრო მოსახერხებელია მოძრაობის მიმართულების მიხედვით მარცხნივ განლაგებული მიზნების დახიანება, მსროლელ-ცაციათვის კი, შესაბამისად — მარჯვნივ. ვარჯიშისას ყურადღება მიაქციეთ თქვენთვის რთულ მხარეს განლაგებული მიზნების დახიანებას.

უკან სვლით მიზნების დახიანება

არც ისე ხშირია. ამ შემთხვევაში ტექნიკური ილეთები ისეთივეა, როგორც წინ სვლისას. ჩვეულებრივ, ზურგიით უკან ხომ იშვიათად დავდივართ, ამიტომაც სროლაც უჩვეულოა უკან სვლით. მიუხედავად ამისა, მსროლელი მაინც სწრაფად ითვისებს უკან სვლით სროლას. თუმცა ამ ტექნიკის დამუშავებისთვის დიდი ყურადღების დათმობა არ ღირს. უმჯობესია, დრო იმ ილეთებს დაუთმოთ, რომლებიც ხშირად გვხვდებით შეჯიბრებებზე.

ფრონტით გადაადგილებისას არსებობს განსაზღვრული განსხვავებანი, დამოკიდებული მოძრაობის მიმართულებაზე. მაგალითად, „მემარჯვენესთვის“ ფიზიოლოგიურად უფრო მოსახერხებელია წინ განლაგებული მიზნების დახიანება მარჯვნივ სვლით. ცაციას უიოლდება მარცხნივ სვლით. ფრონტით გადაადგილებისას მსროლელის კორპუსი მიმართული უნდა იყოს მიზნებისკენ. ამიტომაც მსროლელი გვერდულად გადაადგილება, თან სიმძიმის დაბალ ცენტრს ინარჩუნებს. თითოეული ნაბიჯის გადადგმისას მისი ერთი ფეხი მეორეს ენაცვლება.

სასწავლო სავარჯიშო №38ა. სხვადასხვა მიმართულებით სვლისას დამიზნება

ასრულებენ ვაზნებისა და ტაიმერის გარეშე. მსროლელის წინ 12 მეტრის სიშორეზე ათავსებენ მუყაოს მიზანს. შეიძლება გამოიყენონ მიზნის მაკეტიც. სავარჯიშო განკუთვნილია სვლით დამიზნებისას პისტოლეტის მდგრადობის დამუშავებისთვის.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი პირით მიზნისკენ დგას. დაუტენავი პისტოლეტი ორივე ხელით უჭირავს შხის წნულის დონეზე, ლულით — მიზნისკენ. იდაყვები ტანს ეხება. საჩვენებელი თითი სასხლეტის კაუჭის გარეთაა.

შესრულების წესი. პირველი ეტაპი. სტარტის აღებისას მსროლელი ფეხებს მოხრის და წინ მიდის, სწორ ხაზზე (ხაზის გავლება შეიძლება სასროლ მოედანზე). იმავედროულად, მსროლელი მიზნისკენ მიმართავს იარაღს და მიზნის ცენტრს დაუმიზნებს, რომლის დროსაც იყენებს დამიზნების პირველ ვარიანტს. საჩვენებელი თითი სასხლეტის კაუჭს ეხება. გადადგამს წინ ოთხ ნაბიჯს და მაშინვე, შეუჩერებლად, ოთხი ნაბიჯით უკან დაიხევს. ამ დროს იარაღი ისევ მიზანზე აქვს დამიზნებული. გადაადგილებისას შეიძლება ნიშანმა

ოდნავ რხევა დაიწყოს, მაგრამ მიზნის ზონა A-ს საზღვრებში უცვლელად უნდა დარჩეს. უკან ოთხი ნაბიჯით დახვეის შემდეგ მსროლელი დაუყოვნებლად ისევ ოთხი ნაბიჯით წავა წინ. ასე რამდენჯერმე გაიმეორებს. როცა დაღლილობას იგრძნობს, პისტოლეტს ბუდეში მოათავსებს და შეისვენებს.

მსროლელმა გადაადგილება აუჩქარებლად, მსუბუქად უნდა დაიწყოს. როცა თავდაჯერებას იგრძნობს, მსროლელს შეუძლია გაზარდოს გადაადგილების სიჩქარე. სინქარის მთავარი რეგულატორი იქნება მიზნის A ზონაში ნიშნის გაჩერება.

მეორე ეტაპი. პირველი ეტაპის ათვისების შემდეგ მსროლელს შეუძლია მეორეზე გადავიდეს. სასტარტო პოზიცია იგივეა, რაც პირველზე. მსროლელი ფრონტის გასწვრივ გვერდულად უნდა გადაადგილდეს — ოთხი ნაბიჯი მარცხნიდან მარჯვნივ და ოთხი — მარჯვნიდან მარცხნივ, შეუჩერებლად. პისტოლეტი, როგორც პირველ ეტაპზე, მიზნის ცენტრზე უნდა იყოს დამიზნებული. სიმძიმის ცენტრი დაბალია, მოძრაობები — თანამიმდევრული და ზომიერი, მსუბუქი. მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ გადაადგილებისას მსროლელი პაუსებს არ აკეთებს და ყურადღება მიზანზე ნიშნის მდგომარეობაზე აქვს კონცენტრირებული. როცა დაღლილობას იგრძნობს, მსროლელი პისტოლეტს ბუდეში მოათავსებს და შეისვენებს.

ამ სავარჯიშოში სასხლეტზე ხელის დაჭერა და სროლის იმიტირება საჭირო არ არის. მსროლელის ამოცანაა, დასამიზნებელი მოწყობილობები მიზნის ცენტრზე სწორად ჰქონდეს მიმართული. პირველ ხანებში პისტოლეტი, შესაძლოა, ძალიან ირხეოდეს, მაგრამ ვარჯიშის წყალობით ეს ძალე გაივლის — მსროლელი პისტოლეტით სწორად გადაადგილებას დაიწყებს, ნიშანიც მიზნის ცენტრზე სწორად ექნება დამაგრებული. მეორე უკვე საჭიროა გადაადგილების სისწრაფის გაზრდა.

სასწავლო სავარჯიშო №39. მიზნების დახიანება წრეზე სვლისას

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. ტაიმერი საჭიროა ხმოვანი სიგნალის მისაცემად. სასროლ მოედანზე ათავსებენ 200-ლიტრიან პლასტიკატის კასრს ან ერთმანეთზე შეწყობილ 6-8 ავტომობილის საბურავს. კასრიდან 12 მე-

M2-M4 ნებისმიერი თანამიმდევრობით შეიძლება დააზიანოს. საფარჯიმო უნდა დაიწყოს ნელა, აუჩქარებლად, მაგრამ დაყოვნების გარეშე. გადაადგილების სისწრაფე შეუძლია გაზარდოს იმ შემთხვევაში, თუ მოძრაობისას ყველა მიზანს აუცდენლად დააზიანებს. ამ საფარჯიმოს შესრულება რეკომენდებულია ჯერ ძლიერი ხელით, შემდეგ კი — სუსტით.

სასწავლო საფარჯიმო №41. მიზნების დაზიანება სვლითა და სირბილით

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიპერით. ტაიპერი საჭიროა ხმოვანი სიგნალის მისაწოდებლად და საფარჯიმოს შესრულების დროის გასაკონტროლებლად. საფარჯიმო განკუთვნილია მარცხნივ და მარჯვნივ მოძრაობის მიხედვით განთავსებული მიზნების დასაზიანებლად. საფარჯიმო სასურველია შეასრულონ გამოცდილმა მსროლელებმა.

სასროლ მოედანზე აკეთებენ ორ შემზღულად ხაზს, რომლებიც სროლის ძირითადი მიმართულების პარალელურია. შემზღულად ხაზებზე შეიძლება გამოიყენონ პატარა პალოებით დამაგრებული ხის ლარტყები. ორი 11-მეტრიანი კვადრატის — K1-ისა და K2-ის თავსა და ბოლოში შემზღულადი ხაზებით გაკეთებულია 2-მეტრიანი გასასვლელი. გასასვლელის გასწვრივ, 10 მეტრის სიშორეზე, მარცხნივ და მარჯვნივ განთავსებულია პრაქტიკული სროლის საერთაშორისო ფედერაციის 6 მუყაოს მიზანი M1-M6. ბოლო კვადრატიდან — K2-დან 10 მეტრის სიშორეზე განთავსებულია ორი მინიპოპერი — MP1 და MP2. მათ შორის მანძილი 2 მეტრია.

ვაზნებით საფარჯიმოს შესრულების წინ რეკომენდებულია უვაზნებოდ ვარჯიში.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი მოდუნებულია, დგას კვადრატ K1-ში პირობით მიზნებისკენ. ხელები ჩამოშვებული აქვს. დატენილი პისტოლეტი ბუდეშია.

შესრულების წესი. პირველი ეტაპი. ხმოვანი სიგნალისთანავე მსროლელი დააძრობს პისტოლეტს და აზიანებს მინიპოპერს — MP1-ს. შემდეგ იწყებს სვლას წინ, შემზღულად ხაზებს შორის და აზიანებს შეუჩერებლად M1-M6-ს, თითოეულს ორი გასროლით. მიზნებს რეგრეობით აზიანებს — ერთს მარცხნივ, მეორეს — მარჯვნივ და ა.შ. მოძრაობით სროლისას ძალზე ყურადღებით უნდა იყოს, რომ უსაფრთხოების კუთხე არ დაარღვიოს და პისტოლეტით უკან არ მიტრიალდეს.

მეორე მინიპოპერი MP2 შეიძლება დააზიანოს მხოლოდ კვადრატ K2-დან. MP2-ის დაზიანებით საფარჯიმო დამთავრდება. მსროლელი განმუხტავს პისტოლეტს, აკეთებს სასხლეტის საკონტროლო დაშვებას და იარაღს ბუდეში ათავსებს.

ასეთ მანძილებზე მიზნებამდე სვლა საჭიროა მსუბუქად, სიმძიმის დაბალი ცენტრით, პისტოლეტის ენერგიულად გადატანით (მობრუნებით). დამიზნებისთვის უმჯობესია პირველი ვარიანტი გამოიყენოს.

მეორე ეტაპი. მიზნები M1-M6 შემზღულადი ხაზებიდან 5 მეტრის სიშორეზე გადააქვთ, სხვა ყველაფერი შეუცვლელი რჩება. მსროლელი საფარჯიმოს ასრულებს იმავე თანამიმდევრობით, როგორც პირველ ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში მოძრაობა უფრო ენერგიული უნდა იყოს. გამოიყენება დამიზნების მეორე ვარიანტი.

მესამე ეტაპი. მიზნები M1-M6 შემზღულადი ხაზებიდან 2 მეტრზე გადაქვთ, სხვა ყველაფერი უცვლელი რჩება. მსროლელი საფარჯიმოს ასრულებს წინა ორი ეტაპის მსგავსად. მიზნებს შორის ახლო მანძილების გამო მსროლელი მოძრაობს სწრაფად, იარაღი აგრესიულად გადააქვს. მიზნებს აზიანებს ორ-ორი გასროლით, იყენებს დამიზნების მესამე ვარიანტს.

საფარჯიმოს ამ ვარიანტში არის საფრთხე, რომ მსროლელმა, ისე, რომ ვერ მოასწროს გასროლა, მიზანს ჩაუაროს, შემდეგ კი მექანიკურად უკან მობრუნდეს პისტოლეტით, რომ მიზანს ესროლოს. ეს უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევაა და ემუქრება როგორც შეჯიბრების მონაწილეებს, ასევე მაყურებლებსაც. ამ დარღვევისათვის მსროლელს დაუყოვნებლივ აძლევენ დისკვალიფიკაციას.

საფარჯიმოს შესრულებისას რეკომენდებულია მსროლელს პისტოლეტი ორივე — ძლიერი და სუსტი ხელით ეჭიროს. სამივე ეტაპის შესრულების შემდეგ უნდა გაანალიზდეს საერთო და ორ გასროლას შორის მუყაოს მიზნების დაზიანების დრო.

დაეხასიათებალი შეხსოვები

მოძრაობით სროლისას მსროლელს ყურადღების გამფანტავი ბევრი მომენტი ექმნება. ამას შეცდომები მოჰყვება ხოლმე. განსაკუთრებით ხშირია მოსალოდნელ გასროლაზე მსროლელის ადრეული რეაქცია. როგორ გავუმკლავდეთ ამ პრობლემას, მომავალში გიამბობთ.



დასავლეთში უამრავი წიგნი გამოდის ინდოჩინეთის ომის შესახებ და უძრავ-ლესობა, გასაგები მიზეზების გამო, ამ კონფლიქტში მხოლოდ ამერიკის შვერთებული შტატების როლს განიხილავს. მათში თითქმის არაფერია ნათქვამი ინდოჩინეთის პირველ ომში საფრანგეთის საგანგებო ოპერაციების ძალების სამხედრო მოქმედებებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ არეალში საქმეს კარგად უძღვებოდნენ სახმელეთო ჯარებისა და ფლოტის ფრანგი კომანდოსები. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საგანგებო ქვედანაყოფი, რომელიც საგანგებო ოპერაციების ორგანიზაციასა და ჩატარებას წარმართავდა და ცნობილი ამერიკული სპეცქვედანაყოფის „დაკვირვებისა და შესწავლის ჯგუფის“ წინამორბედად მოგვევლინა, იყო ფრანგი კომანდოსების საჰაერო-სადესანტო შერეული ჯგუფი (Groupement de Commandos Mixtes Aeroportes), შემოკლებით GCMA — წინამდებარე სტატია მომზადებულია როჟე ტრინკიეს წიგნის მიხედვით, რომლის სახელწოდებაცაა „თანამედროვე ომი. ფრანგული თვალთახედვა ინდოჩინეთში კონტრპარტიზანული ბრძოლისა და მაკის ქვედანაყოფების როლის შესახებ“.

1950 წლის ნოემბერში გენერალ ჟან დე ლატრ დე ტასიჟენი ინდოჩინეთში საფრანგეთის გაერთიანებული ჯარების სარდლად დაინიშნა. ამით საფრანგეთის ხელისუფლებას სურდა, შეეცვალა სტრატეგია და ტაქტიკა ომისა, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობდა.

ერთ-ერთი პირველი, რაც ტასიჟენმა გააკეთა, იყო ბრძანება, რომლის თანახმადაც შეიქმნა ახალი კონტრპარტიზანული ქვედანაყოფი.

საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ოპერაციების დაჯგუფების პოდპოლკოვნიკმა გრალმა წინადადება წამოაყენა, ახალ ქვედანაყოფს შენიღბული სახელი Groupement de Commandos Mixtes Acroportes (GCMA)-ი დარქმეოდა, რასაც გზა-კვალი უნდა აერია მათთვის, ვისაც კაშირი არ ჰქონდა ამ ქვედანაყოფთან. სინამდვილეში კი ფრანგული სადაზვერუო სამსახურის (Servica de Documentation Exteriete et de contra-Espionage) მთავარი ინსტრუმენტი გახდა SDECE, რომელსაც სამი მიმართულებით უნდა ემოქმედა:

1. ადგილობრივ მცხოვრებთაგან კონტრპარტიზანული ჯგუფების შექმნა, რომლებიც ფრანგებს დაემორჩილებოდნენ;
2. ტყვეების გაქცევის მარშრუტების



ფრანგი კომანდოსები ვიეტნამში

გაკვალა და მათი ჯარების დისლოკაციის ადგილებამდე უკან დახვეის უზრუნველყოფა (სადაც ეს აუცილებელი იყო);
3. საღიერსიო ჯგუფების ორგანიზაცია.

პოდპოლკოვნიკმა გრალმა კარგად იცოდა, რომ GCMA-ს მეთაურად გამოცდილი და განსაკუთრებული სამხედრო უნარ-ჩვევების მქონე ოფიცერი სჭირდებოდა, ამიტომ თავისი ძველი მეგობარი როჟე ტრინკიე გაიხსენა და 1951 წლის ოქტომბერში გამოიძახა კიდეც. ინდოჩინეთის მრავალი კამპანიის ვეტერანი მაიორი ტრინკიე მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მეთაურობდა ამ საზღვაო ქვეითთა რაზმს, რომელიც ვიეტნამ-ჩინეთის საზღვრის გაყოფებაზე ოპიუმის კონტრაბანდისტებსა და ჩინელ მეგობრებს იჭერდა. მოგვიანებით ის პეკინში, საფრანგეთის საელჩოში მუშაობდა.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ტრინკიე შანხაის ფრანგულ ბატალიონში ადიუტანტად მსახურობდა. ინდოჩინეთში ვიშის მთავრობის ჯარების განადგურების შემდეგ ტრინკიე

იმ სამხედრო-ტყვეთა ბანაკში მოხვდა და მოგვიანებით სამშობლოში დააბრუნეს. თუმცა ერთი წლის შემდეგ კვლავ ინდოჩინეთში დაბრუნდა. 1946-1949 წლებში ჯერ კომანდოსების მე-4 ბატალიონის მეთაური იყო, შემდეგ პარაშუტისტ კომანდოსების მე-2 ბატალიონის მეთაურის მოადგილე (მოგვიანებით მეთაური). ამ პერიოდში ოთხი წარმატებული საომარი დესანტირება ჩაატარა დონტაპის პროვინციაში მდებარე ლერწმების დაბლობში. ერთ-ერთი მათგანის მსვლელობისას თავის მეომრებთან ერთად მოწინააღმდეგის კონტროლირებად ტერიტორიაზე რკინიგზის მახლობლად გადავიდა, სადაც კომანდოსებმა გაანადგურეს ორი ლოკომოტივი, ორმოცი ვაგონი და დეპო. ტრინკიეს კომანდოსებმა დაამყარეს წესრიგი ლაიტიუში, სადაც რამდენიმე ოპერატიული ოპერაცია ჩაატარეს და ვიეტნამელთა 301-ე ბატალიონის მე-ბრძოლებს ხელიდან გამოსტაცეს დასახლებული პუნქტი.

საფრანგეთში დაბრუნებული მაიორი ტრინკიე საფრანგეთის კოლონიური

ჯარების სასწავლო ცენტრის მეთაურად დანიშნეს, მოგვიანებით კი პარამუტისტთა სკოლის ხელმძღვანელად გადაიყვანეს. 1951 წლის ოქტომბერში კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ის ინდოჩინეთში დასჯირდა.

GCMA

ამერიკელების მონაწილეობით მსგავსი შენაერთების შექმნის შესაძლებლობის იდეა ჯერ კიდევ ტასიჟენის ბრძანებამდე წარმოიშვა. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ფრანგებს მსგავსი წინადადება შესთავაზა, იყო საიგონში ცს-ს თანაშემრომელი, პოლკოვნიკი ედვარდ ლანსდეილი.

ფრანგ სამხედროებს შორის ის არცთუ პოპულარული იყო, რადგან კონფლიქტში აშშ-ის ჩარევისთანავე ჩრდილოეთნატოელებთან ბრძოლაში საიდუმლო ოპერაციების მეთოდს უჭერდა მხარს. ლანსდეილი ეყრდნობოდა თავის გამოცდილებას, რომელიც ფლიპინებზე პარტიზანებთან ბრძოლისას შეიძინა. ლანსდეილმა ფრანგებს ამერიკული წყაროებისგან დაფინანსებული ისეთი საგანგებო ქვედანაყოფების შექმნა შესთავაზა, რომელსაც თვითონ უხელმძღვანელებდა, მაგრამ ინდოჩინეთში საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა უარყო მისი წინადადება. მოგვიანებით ლანსდეილის მემკვიდრე სთავაზობდა ფრანგებს სენ-ვაკემი (vungtau) მდებარე საგანგებო აგენტების სკოლის ამერიკელების დაქვემდებარებაში გადაყვანას (ჩანერგვის შემდეგ ეს აგენტები ამერიკულ მხედრებს უნდა დამორჩილებოდნენ). ტასიჟენმა ეს წინადადება ქვეყანაში ჩასვლისთანავე უარყო.

გრალთან პირველივე შეხვედრისას ტრინკიემ მისგან გაიგო, რომ GCMA-ს პირველი რაზმები უკვე ფორმირებული იყო კუნძულ კულაორზე. ეს იყო ფრანგი პარამუტისტების ასეულისაგან და 400 ვიეტნამელი ჯარისკაცისგან შემდგარი შენაერთი, რომელსაც თორმეტი უმცროსი ოფიცერი და სამხედრო-სახლავო ძალების კაპიტანი ლეჟე მეთაურობდნენ. შენაერთი ატარებდა ღამის რეიდებს, რომლის დროსაც მიწისზედა ტრანსპორტსა და გასაბერ ნაუებს „ზოლიაჟო“ იყენებდნენ. აწარმოებდნენ აგენტების ინფილტრაციას (უცხო სხეულში შეღწევა) და ექსფოლტრაციას (პირიქით). ჩაატარეს რეიდი მდინარე კუანგოს სათავესთან მდებარე ერთ-ერთ სოფელში, სადაც დაზვერვის მონაცემებით, ვიეტნამელი ოფიცერების შეკრება

იყო დაგეგმილი. საზღვაო ფლოტის ქვედანაყოფების მეომრების დახმარებით ლეჟემ ექვსი გასაბერი ნაჟი „ზოლიაჟო“, ორი მცირე ზომის საპატრულო კატარღაზე განათავსა და მუზღავურებს მოელაპარაკა, საჭიროების შემთხვევაში კატარღეზე დამონტაჟებული საარტილერიო დანადგარების ცეცხლით მხარი დაეჭირათ მისი რაზმისათვის. მცირე ფლოტილია შეღამებისთანავე დაიძრა და გეზი მდინარის სათავესაკენ აიღო. მიზანი ხმელეთზე, ნაპირიდან 450 მეტრზე მდებარეობდა. გადასხდომის წინ ლეჟემ ოცკაციანი ჯგუფი ორ ნაწილად გაყო. შუალამისთვის დესანტირებულმა კომანდოსებმა სანაპიროს სიღრმეში 200 მეტრით წინ წაიწიეს. ლეჟემ აქ ჯგუფის ნახევარი — 10 კაცი დატოვა სათვალთვალოდ და მოიერიშე ჯგუფის უკან დახვევის უზრუნველსაყოფად, თვითონ კი მოიერიშე ჯგუფს გაუძღვა. მოულოდნელი თავდასხმის შედეგად განადგურდა ყველა ვიეტნამელი ოფიცერი, მათ შორის ერთი კომისარი. შემდეგ კომანდოსებმა შეყოვნებული მოქმედების რამდენიმე პლასტიკური ნაღმი დაუყენეს შენობას და უხმაუროდ გაბრუნდნენ უკან, ნაუებისკენ. როგორც კი „ზოლიაჟოები“ მათ მოძლოდინე კატარღებს მიუახლოვდნენ, გაისმა ნაღმების აფეთქების ხმა, კატარღების არტილერიამ და ტყვიამფრქვევებმა დასახლებულ პუნქტს გაუხსნეს ცეცხლი. ოცი წუთის შემდეგ მცირე ფლოტილია ადგილიდან დაიძრა და უვნებლად დაბრუნდა ბაზაში.

GCMA-ს კიდევ ერთი რაზმი შეიქმნა კუნძულ ხონმეზე, ქალაქ ტიანხაოში, რომელიც საკვანძო დასახლებული პუნ-

ქტი იყო წითელი მდინარის დელტაში. რაზმს ხელმძღვანელობდა კაპიტანი ბილშო, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ტიანხაოს კათოლიკურ თემთან. ცხადია, კაპიტანი ამას სადაზვერვო ინფორმაციის მისაღებად იყენებდა. რაც შეეხება ტრინკიეს, გრალმა მას შესთავაზა, გამგზავრებულყო ჩრდილოეთში და იმ შტაბის უფროსობა ჩაებარებინა, რომლის გამგებლობაშიც GCMA-ს ტონკინის რაზმი იმყოფებოდა.

ტრინკიე ადრე ამ ადგილებში მსახურობდა და კარგად იცნობდა რეგიონსა და იცოდა ადგილობრივი დიალექტი. გამგზავრების წინ გენერალმა ურჩია ტრინკიეს, კარგი ურთიერთობა დაემყარებინა რეგიონში განლაგებულ სხვა საჯარისო ნაწილების ოფიცრებთან, რადგან მათ დამოკიდებულებას GCMA-ს მიმართ კეთილგანწყობილი ვერ დაერქმეოდა. საერთოდ, რეგულარული არმიის ოფიცრები ყოველთვის ეჭვით უყურებდნენ საგანგებო ქვედანაყოფებს.

დასასრულ, გრალმა ტრინკიეს აცნობა, რომ მისი კანდიდატურა ტონკინის რაზმის მეთაურად პირადად გრალმა წამოაყენა, რომ ადრინდელ მეთაურს სამსახურის ვადა გაუვიდა და ახლა იგი საიგონში ბრუნდებოდა ახალი თანამდებობის მისაღებად.

1952 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ტრინკიე ჰანოიში ჩავიდა და საპაეროსადესანტო ჯარების შტაბის წევრებს GCMA-ს ძალებით ოპერაციების ჩატარების გეგმა გააცნო. ამასთან, შეეცადა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა იმ სამხედრო შენაერთების მეთაურებთან, რომლებსაც შეეძლოთ ოპერაციებისას მისი დახმარება. ასე გაითაცა ტრინკიეს

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის ალბანითი ძირუბრის საერთაშორისო საოპერაციო -ISHRS- ნავრი

პრეპლანციანი გამოსდილება, სერიისი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტამბოლი, სტამბოლი, სტამბოლი
ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, ნარაბისა და ნაწინების გადანერგვა

თმის გადანერგვა სოციალურად 2-3 საათში უმჯობესესად

გადანერგვილი თმა გუნებრივად იზრდება და არ ხშივია.
კონსულტაციები უფასო და ანონიმური.

მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკანტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge



გეგმამ პოლკოვნიკი დიულაკი, რომელიც ყველანაირ დახმარებას დაჰპირდა მას. GCMA-ს ტონკინის შტაბში ტრინკიემ შეიტყო ამ რეგიონში მოქმედი სპეცრაზმის პირველი ოპერაციების შესახებ, რომელთაც ატარებდა ოპერატიული ჯგუფი, სახელწოდებით les Centaines-ი, რაც „ცენტურიონს“ ნიშნავს. ერთი თვის განმავლობაში ოპერატიულმა ჯგუფმა ლოიალურად განწყობილ მოსახლეობასა და სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებთან კონტაქტის დასამყარებლად დასახლებულ პუნქტებში შეღწევა მოახერხა. მათ ბაზაზე დაყრდნობით უნდა შექმნილიყო პარტიზანებთან მებრძოლი რაზმი „მაკი“ (ფრანგი პარტიზანების, რომლებსაც „მაკის“ უწოდებდნენ მეორე მსოფლიო ომში, ანალოგიის მიხედვით). ტრინკიეს ხელმძღვანელობით მაკის რაზმები შეიქმნა ტენიენში, ლუენამში, წითელი მდინარის დაბლობში, სონტაისა და ტენზოს ახლოს, ფატდეჟეში.

კერძოდ, ტენიენში „ცენტურიონებმა“ შეკრიბეს, მოამზადეს და პარაშუტით ხტომა ასწავლეს დაახლოებით 100 ადგილობრივ მაკიზარს (მაკიზარი — მაკის წევრი). ისინი ჩინეთის საზღვარზე მე-4 მარშრუტის რაიონში უნდა გამოეყენებინათ, მათ ლეიტენანტი პიერ დებენზი მეთაურობდა. პირველი საბრძოლო ამოცანა, რომელიც ახალშექმნილ რაზმს უნდა გადაეყვებოდა, ლტოლვილთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა იყო, რისთვისაც მთლიანად უნდა გაეშინდათ გზა მე-4 მარშრუტზე ლონსონგიდან სამხრეთ დასავლეთით, ჰანოიმდე. რადგან საბრძოლო მოქმედების აღმოსავლეთი მხარე განსაკუთრებულ


ყურადღებას არ საჭიროებდა, trinkiem GCMA-ს მებრძოლები წითელი მდინარის მეორე მხარეს განალაგა. მეთაური კარგად იცნობდა ამ ადგილებს და მიხვდა, რომ ადგილობრივი მთიელი ტომებისაგან მოწყობილი საფართო ქსელის შესაქმნელად უკეთესი პირობები არ მოიძებნებოდა. სანამ მთავორიან რაიონში „ცენტურიონებს“ გაგზავნიდა, საჭირო იყო იქ ტყვია-წამლისა და პროდუქტის სამალაევები მოეწყო, რადგან სანამ ჰაერით რეგულარული მომარაგება დაიწყებოდა, რაზმელებს ძალზე გაუჭირდებოდათ.

მაკი და მისი ოპერაცია

რამდენიმეთვიანი დაძაბული მუშაობის შედეგად ოპერატიული რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში, ნიალოში შეიქმნა მაკის რაზმი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ცენტრში შესაძლებელი გახდა კომანდოსების მოსამზადებელი სკოლის დაარსება.

მაკიმ სულ მალე დაამტკიცა, რაც შეეძლო: ნიალოს მხვერაგთა ჯგუფი წითელი მდინარის ნაპირზე გადავიდა და შეტყვისთვის მომზადებულ ვიეტნამელებს წააწყდა. ამ დროს ლაიჩაუს ჯგუფი აკრძალულ ზონას, ჩინეთის საზღვარს უთვალთვალებდა. ჩინელები აქტიურად ეხმარებოდნენ ვიეტნამელებს იარაღითა და ტყვია-წამლით. მხვერაგებმა საზღვარზე იერიშისთვის მზადყოფი რამდენიმე დივიზიის ადგილსამყოფელიც აღმოაჩინეს.

GCMA-ს ტონკინის ოპერაციაში ძირითად ბირთვის მაკიზარები შეადგენდნენ. ყველა მათგანს ტრინკიეს ორგანიზებულ



ლი მკაცრი წვრთნა ჰქონდა გავლილი. კომანდოსების სკოლაში კანდიდატებს მოხალისეებისგან არჩევდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ მათ ჰანოიმში პარაშუტისტების მოსამზადებელ ცენტრში გზავნიდნენ. სპეცოპერაციებისთვის არჩეული პირადი შემადგენლობა შემდგომ მომზადებისათვის ჰანოის ცენტრში იგზავნებოდა. კომანდოსების ამოცანები ტონკინში გარკვეულწილად „ცენტურიონთა“ ამოცანების მსგავსი იყო: ალექვეთათ ან შეეძცივებინათ ვიეტნამელთათვის ჩინეთის დახმარება, ვიეტნამელ მებრძოლებს შორის შეექმნათ მუქარისა და მუდმივი საშიშროების გრძობა, ჩაერთოთ მოსახლეობის ფართო ფენები წინააღმდეგობის მოძრაობაში და გაეზარდათ მაკიზარებში მოხალისეთა რიცხვი, საბოლოო მიზანი კი ამ რეგიონში ვიეტნამის არმიის სამხედრო-პოლიტიკური ინფრასტრუქტურის განადგურება იყო.

კომანდოსებს სპეცოპერაციების ჩასატარებლად საგანგებოდ ასწავლიდნენ სამიდან ერთ-ერთ პროფესიას: პარტიზანებთან ბრძოლის ტაქტიკას, კავშირგაბმულობასა და მხვერაგობას. ჩვეულებრივი ჯგუფი სანახევროდ კომანდოსებისგან შედგებოდა, რაოდენობის დაახლოებით მეთოხედი კავშირგაბმულობის სპეციალისტი იყო, დანარჩენები კი — მხვერაგები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ავღანეთის საბრანსკორობო დერეფნები



შეწყვეტა, ხელშეკრულების არასახარბიელო ფინანსური პირობები და ამერიკელი სამხედროებისადმი ყირგიზი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება მოიყვანა.

თუმცა გადაწყვეტილება მაინც რუსეთის ჩარევით არის მიღებული და ამის უკან დიდი ფინანსური დაპირებები დგას. მოსკოვი ბიშკეკს 2-მილიარდიან შეღავათიან კრედიტს (დიდი ნაწილი ქამბარათანის პესის მშენებლობას უნდა მოხმარდეს), 150 მილიონი დოლარით უანგარო დახმარებასა და 180 მილიონი დოლარი ვალის ჩამოწერას ჰპირდება.

ISAF-ის სამშვიდობო ძალებისათვის „მანასი“ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო-სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენს, რომელიც ყოველთვიურად 15 ათას სამხედროსა და 500 ტონა ტვირთს ატარებს. დახურვა მრავალეროვანი კონტინენტის უზრუნველყოფას, ავღანეთში ვითარების ნორმალიზაციასა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეს არ წადგება.

„მანასის“ გარდა ISAF-ის ძალების შექმნის შემდეგ უმნიშვნელოვანესი ფრანგული კონტინგენტი ტაჯიკეთში დუშანბეს აეროპორტით, ხოლო გერმანული კი — უზბეკეთში თურმეხის აეროპორტით სარგებლობს.

ყირგიზეთის დედაქალაქიდან აღმოსავლეთით რამდენიმე ათეულ კილომეტრში, ქალაქ კანტთან მდებარე ავიაბაზას რუსეთის სამხედრო-საჰაერო

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ყურმანბეგ ბაკიევა 2009 წლის 20 თებერვალს ხელი მოაწერა და დაამტკიცა პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლითაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან „მანასის“ ავიაბაზის გამოყენებაზე დადებული 2001 წლის შეთანხმება შეწყდა.

ცენტრალური აზიის კიდევ ერთი ქვეყნიდან ამერიკელების გაძევებისაკენ გადადგმული ეს ნაბიჯი (2005 წელს ამერიკელებმა უზბეკეთში ქალაქ ყარაშიან მდებარე ავიაბაზა „ქანაბადი“ დატოვეს) პრეზიდენტმა ბაკიევა დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებად გამოაცხადა და მიზეზად ავღანეთში საბრძოლო მოქმედებათა



376-ე საექსპედიციო ავიაფრთა „მანასის“ აეროპორტში მუშაობით მუდმივად დატვირთულია



ძალები იყენებენ. რუსი პილოტები კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის ტერიტორიაზე ტერორისტების შემოჭრას ელიან და მანამდე ავღანეთის ოპერაციაში მონაწილე ქვეყნების საფრენ აპარატებზე დაკვირვება-კონტროლით არიან დაკავებული.

ყირგიზეთის ხელისუფლება, როცა ტერორიზმთან ბრძოლაში ერთ ქვეყანასთან თანამშრომლობს, იმედროულად მეორეს პოლიტიკური მოტივაციით პრობლემებს უქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზეთის პარლამენტმა ხელშეკრულებას დენონსაცია გაუკეთა, საკითხი ჯერ კიდევ დახურული არ არის. ამერიკელებს ბაზის გასაუქმებლად 180 დღე აქვთ გამოყოფილი და დროს ყირგიზეთისა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებისათვის იყენებენ, ხოლო ამერიკის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსი ავიაბაზის საარენდო თანხის გაზრდისათვის მზადყოფნას გამოთქვამს.

ჯერჯერობით, ISAF-ის ძალების მომარაგების მთავარი სახმელეთო-საჰაერო მაგისტრალები პაკისტანზე გადის, საიდანაც ავღანეთში ტვირთის 75% და მათ შორის სამხედრო დანიშნულების საწვავის 40% შედის.

პაკისტანში ყარაჩის პორტიდან ორი მარშრუტი იწყება. ერთი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ ფეშაგარისაკენ მიემართება და ქალაქ ჯამრუდიდან ზაიბერის გასასვლელით (სიგრძე — 53 კილომეტრი, სიგანე — 15-130 მეტრი, უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 1050 მეტრზე მდებარეობს) ავღანეთში ქალაქ თორკამეს უერთდება და ქაბულში მთავრდება.

ეს მარშრუტი ყველაზე დატვირთულია. პაკისტანის საბაჟოს ინფორმაციით, საზღვარს ყოველდღე დაახლოებით 300-350 ავტომობილი 7 ათასამდე ტონა ტვირთით კვეთს. კოალიციური ძალები სამხედრო დანიშნულების ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, ძირითადად, ამ გზით სარგებლობენ.

მეორე მარშრუტი ყარაჩის ბელუჯისტანის ქალაქ ჩამანთან აკავშირებს და იქიდან ავღანეთის სამხრეთში, თალიბთა მთავარ ქალაქ ყანდაარამდე გრძელდება. ჩამანთან საზღვარს დღეში საშუალოდ 100 ავტომობილი კვეთს.

ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე ქვეყნები სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის პაკისტანის საჰაერო სივრცე-



ავტოკოლონა ავღანეთისკენ მიემართება

საც იყენებენ, მაგრამ ავიაცია ზოგიერთი სახისა და საკმარისი რაოდენობის ტვირთის გადაზიდვის საშუალებას არ იძლევა.

ავღანეთისაგან განსხვავებით, ბოლო დრომდე პაკისტანში ავტოკოლონებზე თავდასხმა იშვიათობას წარმოადგენდა, მაგრამ ვითარება გასული წლის ბოლოს ბევრად შეიცვალა.

ზაიბერის მიმდებარე რაიონებს პაკისტანის ცენტრალური ხელისუფლება პუშტუნთა ტომების უხუცესების დახმარებით მართავს და აკონტროლებს, ამიტომ იქ თალიბები და „ალ-ქაიდას“ წევრები თავს შედარებით თავისუფლად გრძნობენ. დროდადრო პაკისტანის არმია ადგილობრივი შეიარაღებული რაზმების გასანადგურებლად სამხედრო ოპერაციებს ატარებს, მაგრამ შედეგი უმნიშვნელოა, ხოლო ავტოკოლონებზე თავდასხმა არ წყდება.

2008 წლის 8 დეკემბერს ადგილობრივი ტომების რაზმებმა ნამდვილი სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს და ფეშაგარში NATO-ს ტერმინალზე იერიში მიიტანეს. დაიწვა 106 სატვირთო ავტომობილი, განადგურდა 52 დაჯავშნილი „ჰამერი“ და სხვა ტვირთი. 3 თებერვალს ზაიბერის გასასვლელის რაიონში თალიბებმა საავტომობილო ხიდი ააფეთქეს და ავტოკოლონების მოძრაობა საერთოდ შეწყდა.

მსგავსი დივერსიები გამონაკლისს არ წარმოადგენს, ამიტომ ვაშინგტონი პაკისტანს არასაიმედო მოკავშირედ თვლის და მიაჩნია, რომ იქაური ხელისუფლება ექსტრემისტებს არასაკმარისი აქტიურობით ებრძვის.

თავის მხრივ, არც ამერიკელები სხედან გულხელდაკრეფილნი და ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის რაიონში თალიბებსა და „ალ-ქაიდას“ სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატებით ებრძვიან.

ოპერაციები ხშირად მსხვერპლით მთავრდება, რაც მოსახლეობის პროტესტს იწვევს და საპასუხო სამხედრო ქმედებებისაკენ უბიძგებს.

ვაშინგტონი ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში ითხოვდა რუსეთის გავლით ავღანეთისაკენ ტვირთის ტრანსპორტირების ნებართვას. მოსკოვის თანხმობა თეთრ სახლში ობამას ადმინისტრაციის მისვლის შემდეგ ერთი აუცილებელი მოთხოვნის გათვალისწინებით მივიდა, — ტვირთი მხოლოდ სამოქალაქო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

ახალი ჩრდილოეთის მარშრუტის საწყისი წერტილი ლატვიის დედაქალაქი რიგაა, საიდანაც კონტეინერები ლატვიის, რუსეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის რკინიგზათა გავლით უზბეკეთის ქალაქ თურმენში ჩავა და ავტომობილებით ავღანეთის სიდრემეში გადაიზ-

ფეხფარში NATO-ს სატვირთო ტერმინალზე თავდასხმის შედეგები



იდება. რიგიდან თურქებამდე გზას დაახლოებით 20-25 დღე სჭირდება.

ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებისათვის განკუთვნილი 100 კონტეინერით დატვირთული პირველი ეშელონი რიგიდან 19 თებერვალს გავიდა. ტვირთი არასამხედროა და მასში შედის კამუფლირებული მასალები, კვების პროდუქტები, მედიკამენტები, ტანსაცმელი და სამოქალაქო დანიშნულების მოწყობილობები.

თუ პროექტმა გააპართლა, მაშინ ლატვიელ რკინიგზელებს კვირაში 700 კონტეინერის გასატანად საჭირო 20-30 სარკინიგზო შემადგენლობის ფორმირება მოუწევთ.

პარალელურად, ამერიკელები ტრანსპორტირების ალტერნატიული გზების ძებნას განაგრძობენ და ამ მიზნით ამერიკის ცენტრალური სარდლობის (მოიცავს ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიისა და სპარსეთის ყურის 27 ქვეყანას) სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი დევიდ პეტრეუსი იანვარში ვიზიტით პაკისტანსა და ცენტრალური აზიის რამდენიმე ქვეყანაში იმყოფებოდა, სადაც რუსეთის გარეშე არასამხედრო დანიშნულების ტვირთის ტრანსპორტირებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

მისი თქმით, ახალმა მარშრუტებმა უნდა შეავსოს პაკისტანზე გამავალი ძირითადი მაგისტრალი, რომელიც თალიბთა სამიზნეს წარმოადგენს და კოალიციის ჯარებს საბრძოლო ამოცანების შესრულებაში ხელს უშლის.

ტვირთის გატარებაზე თანხმობა განაცხადა ტაჯიკეთმა, რომელიც ავღანეთში განლაგებულ ამერიკულ სამხედრო ბაზებს უმოკლესი სახმელეთო გზებით უკავშირდება. ამერიკელე-

ბი უზბეკეთიდან ტაჯიკეთის გავლით ავღანეთში კვირაში 50-200 კონტეინერის შეტანას გეგმავენ. დუშანბემ არასამხედრო ტვირთის საჰაერო სივრცით ტრანსპორტირებაზეც თანხმობა განაცხადა.

ამის შემდეგ მოიმატებს რკინიგზით შემოტანილი ტვირთის რაოდენობაც. გერმანია ავღანეთში თავისი კონტინგენტისათვის უკვე რამდენიმე წელია ტვირთს ევროპიდან თერმეზამდე რკინიგზით ეზიდება და მზარ-ი-შარიფში ავტომობილებით გადააქვს.

არასამხედრო ტვირთის ტრანსპორტირებას ყაზახეთიც არ ეწინააღმდეგება. თურქმენეთი, როგორც ნეიტრალური პოლიტიკის სახელმწიფო, უპირატესობას ავღანეთისათვის ჰუმანიტარული სახის დახმარების გაწევას ანიჭებს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ დასავლეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად

არასამხედრო ტვირთის გატარებას ისიც დათანხმდეს.

არის კიდევ ერთი, ე.წ. სამხრეთის მარშრუტი, რომელიც კავკასიაზე გადის. რამდენიმე წელია ავღანეთისათვის განკუთვნილი მცირე რაოდენობის ტვირთი ფოთის პორტიდან ბაქოსკენ იგზავნება, საიდანაც თურქმენეთის პორტ თურქმენბაშისა და უზბეკეთის გავლით ავღანეთში დაახლოებით 18-22 დღეში ჩადის.

ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე ქვეყნების კონტინგენტების რაოდენობრივი ზრდა თავისთავად გადასახიდი ტვირთის რაოდენობას გაზრდის და მოსალოდნელია, რომ სამხრეთის მარშრუტის დატვირთვაც მოიმატებს.

გზები ღრსია:

აეროპორტი „მანასი“ ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკიდან ჩრდილო-დასავლეთით, 23 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მისი მშენებლობა გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს დასრულდა.

ავღანეთში ოპერაციების დაწყებიდან ორ თვეში, 2001 წლის 16 დეკემბერს, აეროპორტში პირველი ამერიკული თვითმფრინავები დაეშვნენ. არჩევანი „მანასზე“ შემთხვევით არ შეჩერებულა. ასაფრენ-დასაშვები ზოლის ზომა და ზედაპირი მძიმე სატრანსპორტო-სამგზავრო თვითმფრინავების — C-5 „გელაქსისა“ და ბოინგ-747-ის მიღების საშუალებას იძლევა.

მოხერხებული მდებარეობის გამო ავღანეთისაკენ ფრენას 90 წუთი სჭირდება, როცა უახლესი ამერიკული ჯიდას (საუღის არაბეთი) ბაზიდან გადაფრენაზე 5-6 საათი იხარჯება.

ხაიბერის გასასვლელის რაიონში აფეთქებული ხიდი





2001-03 წლებში „მანასი“ ტრანზიტისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად კიდევ 11 ქვეყანას ემსახურებოდა. აეროპორტს საჰაერო ოპერაციებისათვის ესპანური, პოლანდიური, დანიური და ნორვეგიული სატვირთო C-130 „ჰერკულესები“, ფრანგული ექესი „მირაჟ“-2000D და ორი საწვავამწყოები KC-135 „სტრატოტანკერი“, ავსტრალიური ორი საწვავამწყოები „ბოინგ-707“ და ესპანური მშველი შვეულმფრენი HT-211 „სუპერპუმები“ იყენებდნენ, ხოლო პერსონალი 1500 სამხედრო მოსამსახურეს ითვლიდა.


ერთხანს ბაზა 11 სექტემბერს დაღუპულ ნიუ-იორკის მებანძრეთა უფროსის, პიტერ ჰანსის სახელს ატარებდა, მაგრამ 2006 წელს გაირკვა, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების ინსტრუქციით ქვეყნის გარეთ სამხედრო ბაზებისათვის ამერიკელ მოქალაქეთა სახელის დარქმევა აკრძალული ყოფილა და ავიაბაზას სახელი „მანასი“ დარჩა.

ავიაბაზის მოვალეობა ავღანეთში მიმდინარე ოპერაციების მხარდაჭერა, ტვირთის საჰაერო გადაზიდვა-დესანტირება, ჰაერში თვითმფრინავების საწვავით გაწვობა, სამედიცინო-სამშველო საჰაერო ოპერაციები და სხვ.

2004 წელს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ამერიკამ ყირგიზეთს „მანასის“ ავიაბაზაზე AWACS-ის სისტემის შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავების განთავსება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

სამკზავრო და სამხედრო თვითმფრინავების მეზობლობა 2006 წლის 26 სექტემბერს ლამის ტრაგედიით დასრულდა, როცა ყირგიზეთის სამკზავრო Ty-154 (52 მკზავრი და 9 ეკიპაჟის წევრი) აფრენის დროს ფრთით ამერიკულ „ჰერკულესს“ გამოეღო. საბედნიეროდ, შემთხვევა უმსხვერპლოდ დასრულდა, მაგრამ ბიშკეკის გაღიზიანება გამოიწვია. იმავე წლის 6 დეკემბერს კი აეროდრომის ტერიტორიაზე ამერიკელმა ჯარისკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით ყირგიზეთის მოქალაქე მოკლა და პოლიტიკური დამატულობის მიზეზი გაჩნდა.

ამჟამად „მანასის“ ავიაბაზაში შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების 376-ე საექსპედიციო ავიაფრთის სატრანსპორტო C-17 „გლობმასტერ“ III-ები და საწვავამწყოები KC-135 „სტრატოტანკერები“, ორი ფრანგული KC-135FR „სტრატო-



„მანასიდან“ აფრენილი საწვავამწყოები სანჯავს მოიერიშე A-10A „ტანდერბოლტ-II“-ს აწვდის

ტანკერი“ და ერთი ესპანური C-130 „ჰერკულესი“ ბაზირებს.

ავიაბაზასა და თვითმფრინავებს დაახლოებით 1000 სამხედრო და 650 ადგილობრივი მოქალაქე ემსახურება.

აეროპორტს ორი ასაფრენ-დასაშვები ზოლი აქვს. №1-ს არმობეტონის ზედაპირი აქვს (ზომით 4200X60 მეტრი) და განუსაზღვრელი მასის საფრენი აპარატების მიღება შეუძლია. გრუნტის №2 ასაფრენ-დასაშვები ზოლის ზომა 4200X100 მეტრია.

„მანასის“ სანაცვლოდ შეერთებული შტატები ტაჯიკეთს წელიწადში 150 მილიონი დოლარით ეხმარება, საიდანაც 17,5 მილიონი დოლარი აეროდრომის არენდის თანხა იყო. მიმდინარე წელს ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის გაფართოება და ფეთქებადსაშიში მასალების შესანახი სპეციალური ტერმინალის აგება იგეგმებოდა, რისთვისაც 100 მილიონი დოლარი გამოიყო.

● დუშანბეს აეროპორტს 2001 წლიდან საფრანგეთი ავღანეთში მყოფი კონტინგენტის უზრუნველსაყოფად სატვირთო C-130 „ჰერკულესების“ ბაზირებისათვის იყენებს.

2005 წლის აგვისტოს დასაწყისში „ჰერკულესებს“ სამ-სამი გამანადგურებელ-ბომბდამშენი „მირაჟ“-2000D

და „მირაჟ-F1“ დაემატა. თვითმფრინავები მონაცვლეობით ავღანეთში ყანდარის აეროდრომზე მორიგობენ და სამშვიდობო ძალებს საცეცხლე მხარდაჭერას უწევენ. იმავე მისიის შესასრულებლად 2007 წლის მარტში დუშანბეს აეროპორტში სამი გამანადგურებელ-ბომბდამშენი „რაფალი“ დაემშვა.


ფრანგების გვერდზე აეროპორტში რუსეთის საჰაერო ძალების 670-ე საავიაციო ჯგუფის 5 მოიერიშე Cy-25-ია განთავსებული.

● თურმეზის აეროპორტის ერთი ნაწილი 2001 წლის ბოლოდან გერმანული სამხედროების განკარგულებაშია. ბუნდესვერის მფრინავები ავღანეთის მიმართულებით საჰაერო გადაზიდვებთან ერთად საჰაერო დაზვერვასაც აწარმოებენ. სამედიცინო დახმარებისათვის აეროდრომზე მუდმივ მზადყოფნაშია ორი სატრანსპორტო C-160 „ტრანსალი“ და შვეულმფრენი CH-53.

გერმანული საავიაციო ჯგუფის შემადგენლობაში 6 სატრანსპორტო C-160 „ტრანსალი“ და რამდენიმე შვეულმფრენი CH-53 შედის, ხოლო პირადი შემადგენლობა 300 სამხედროს ითვლის.

თეიმურ ჩაჩანიძე

ავიაგზიკაციაში მშენებლობას ახალი ქვეყნები იწყებენ



პირველი ჩინური
ავიაგზიკაციის „ში ლანგი“

წყალზედა საბრძოლო ხომალდებში ავიამზიდი ყველაზე ძნელი ასაგებია. სულ რამდენიმე სახელმწიფოა, რომლებსაც ამისათვის საჭირო სამრეწველო პოტენციალთან ერთად სათანადო გამოცდილებაც აქვს. მალე ავიამზიდების მშენებლობაში დიდი ტრადიციის მქონე ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს რუსეთი შეუერთდა.

ერთადერთი რუსული ავიამზიდი „ადმირალ ფლოტა სოვეტსკოგო სოიუზა კუნეცოვი“ (ყოფილი „თბილისი“) ჯერ ისევ მწყობრშია, დროდადრო დაცურავს და მისი რესურსები 2025 წლამდეა გახანგრძლივებული.

რუსეთს, როგორც დიდ სახელმწიფოს, მსოფლიო ოკეანეში თავისი ინტერესები აქვს და ძლიერების დემონსტრირებისათვის ავიამზიდების აგების სურვილი გაუჩნდა. ამასთან დაკავშირებით ოფიციალური პირებისაგან არაერთი განცხადება გაკეთდა, ხოლო ცოტა ხნის წინ მომავალი ხომალდის ზოგიერთი დეტალი საზოგადოებას ვიცე-ადმირალმა ანატოლი შმელევემა გააცნო.

ადმირალის ინფორმაციით, დაგეგმილია ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის ფლოტებისათვის 50-60 ათასი ტონა წყალწვევის, ატომურ ენერგეტიკულ დანადგარზე მომუშავე მინიმუმ სამი ავიამზიდის აგება.

დაწყებულია ავიამზიდის ტექნიკურ-ტექტიკურ პარამეტრებისა და ტექნიკურ მოთხოვნათა დაზუსტება, მიმდინარეობს მუშაობა ხომალდის იერიას

და მოდელის შექმნაზე. ერთი რამ უკვე გარკვეულია — საბჭოთა პერიოდის ავიამზიდი კრეისერებისაგან განსხვავებით ახალი ხომალდები დამრტყმელი სარაკეტო შეიარაღების გარეშე აგებული „მცურავი აეროდრომი“ იქნება.

რაოდენობა სამი იმ მოსაზრებით განისაზღვრა, რომ ორივე ფლოტს თითო-თითო ხომალდი მუდმივ მზადყოფნაში ეყოლება, ხოლო ერთი კი აუცილებლობის შემთხვევაში გეგმურ რემონტს გაივლის. მომავალში ავიამზიდების რაოდენობის ექვსამდე გაზრდაც გამორიცხული არ არის, თუ ამის აუცილებლობა დადგება და ეკონომიკაში სათანადო პირობები აარსებებს.

თვითმფრინავების სტარტისათვის კატაპულტების გამოყენებაზე უარი ითქვა. მიზეზად დასახელებულია ხომალდების პატარა წყალწვევა, კატაპულტე-

ბის შექმნისათვის საჭირო გამოცდილების უქონლობა და ჩრდილოეთის წყლებში ამ მოწყობილობის ექსპლუატაციით გამოწვეული სირთულეები, ამიტომ ასაფრენად თვითმფრინავები მოკლე გარბენსა და ხომალდის ცხვირზე მოწყობილ ტრამპლინს გამოიყენებენ.

სავარაუდოდ, ავიაგზიკაციის 30-35 საფრენი აპარატითა და განსაზღვრული რაოდენობის უპილოტო საფრენი აპარატებით დაკომპლექტდება. მათ შორის, ალბათ, 20-მდე ჩვეულებრივი კონსტრუქციის, მხუთე თაობის, პორიზონტალური აფრენა-დაშვების საგემბანო ავიამზიდებზე მზადყოფნის, ხოლო დანარჩენი მოიერიშე, მზვერავი, სპეციალური და სხვა დანიშნულების თვითმფრინავები და შეუღლებულები იქნება.

რუსებს საკუთარი კონსტრუქციის საგემბანო შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის საგემბანო თვითმფრინავის (ამერიკის ფლოტი ამ მიზნით E-2C „ჰოკაის“ იყენებს) შექმნა მოუწევთ, რომლის გარეშე საავიაციო დაჯგუფების წარმატებით გამოყენება შეუძლებელია.

ავიაგზიდის კლასის ხომალდი ბაზირებისათვის კარგად განვითარებულ სანაპირო ინფრასტრუქტურას საჭიროებს, რომლის შექმნა დიდ დროსა და ფინანსებს მოითხოვს.

ჯერჯერობით, სათანადოდ მომზადებული სამხედრო-საზღვაო ბაზა არც ჩრდილოეთისა და არც წყნარი ოკეანის ფლოტს არ გააჩნია, ამიტომ ახალ ავიამზიდებს ბაზაში დგომის დროს არსე-



გასართობ ცენტრად გადაკეთებული „კიევი“

ბობა კიდევ დიდხანს საკუთარი ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე მოუწევთ. ამ მხრივ ბირთვული საწვავი ჩვეულებრივთან შედარებით ბევრად ეკონომიურია. ახალი ავიაშინდები ენერჯით ბირთვულმა რეაქტორებმა უნდა უზრუნველყონ.

სვეეროძორსკის სამხედრო-საზღვაო ბაზის რეიდზე მდგომი ავიაშინდი, კრეისერი „ადმირალი კუნეცოვი“, ძირითადად, საკუთარი ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე სულდგმულობს, რაც, თავის მხრივ, ხომალდის სასიცოცხლო ციკლს ბევრად ამცირებს. ამავე მიზეზით ავიაშინდი კრეისერები „მინსკი“ და „კიევი“ განსაზღვრულ დროზე ბევრად ადრე ჩამოიწვრა.

ავიაშინდების მშენებლობა მნიშვნელოვან დაფინანსებას მოითხოვს და მომგებიანი კონტრაქტისათვის ერთმანეთს კონკურენციას სანქტ-პეტერბურგის ქარხანა „ბალტიისკი სუდოსტროიტელნი ზაოდი“ №189 და სვეეროძინსკის გაერთიანება, „სევმაში“ №402 უწევენ. პირველს „ადმირალი უშაკოვის“ სერიის ატომური სარაკეტო კრეისერების (წყალწყვა 25860 ტონა) მშენებლობის გამოცდილება აქვს, მაგრამ საწარმოს ვასილევს კუნძულიდან გადატანისა და სხვა ქარხანასთან მიერთების საშიშროება ემუქრება.

„სევმაში“ წყალზედა ხომალდების მშენებლობის გამოცდილება ბოლო წლებში შეიძინა და რამდენიმე წელია ინდოეთის ფლოტისათვის ავიაშინდი კრეისერის „ადმირალ გორშკოვის“ გადაკეთებით არის დაკავებული. მიმდინარეობს საწარმოს მოდერნიზაცია იმ პერსპექტივით, რომ მომავალში 80 ათასამდე ტონა წყალწყვის ხომალდების აგება მოხერხდეს.

რუსული ავიაშინდები რეალურ კონტურებს მომდევნო ათწლეულში მიიღებენ, ხოლო ინდოეთი კი მიმდინარე წელს პირველი ეროვნული ავიაშინდის მშენებლობას შეუდგა.

28 თებერვალს ქალაქ ქერალის „ქოჩინ შიპარდის“ ვერფზე ქვეყნის თავდაცვის მინისტრის არაკაპარამბილ ქურიან ენტონის მონაწილეობით ADS პროექტის ავიაშინდი P-71-ს ჩაეყარა საფუძველი.

თავდაცვის მინისტრის თქმით, ახალი ავიაშინდის აგება „ინდოეთისათვის ისტორიული მოვლენა“ და ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარების უმნიშვნელოვანესი მომენტი. ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის, ადმირალ სიურემ მუჰტას განცხადებით, ახალი ხომალდის

წყალში ჩაშვება 2010 წლის ოქტომბერში შედგება, ხოლო ფლოტს 2015 წლისათვის შეემატება.

ხომალდის საექსპლუატაციო დრო 50 წელზეა გათვლილი. გამოყენებული შეიარაღების, აგრეგატების, მოწყობილობებისა თუ მასალების 70% ინდური წარმოების იქნება.

ავიაშინდის პროექტირებას ინდოელი სპეციალისტები 2001-02 წლებში შეუდგნენ და მშენებლობის დაწყება 2007 წლის ოქტომბრისათვის, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის გადაცემა 2011-12 წლებისათვის იგეგმებოდა. მაგრამ დამპროექტებელთა არასაკმარისმა გამოცდილებამ და სხვა



ავიაშინდი „ვიკრამადიტის“ მშენებლობა დასრულებისკენ მიდის

ქვეყნებიდან მაკომპლექტებელ მოწყობილობათა თუ მასალების შემოტანაში შექმნილმა სირთულეებმა პროგრამის ვადა შეცვალა.

ხომალდის საგარეულო ღირებულება, ჯერჯერობით, 805 მილიონი დოლარია, მაგრამ მოწოდების დავიანება და ფინანსური კრიზისი ღირებულებაზე ზეგავლენას მოახდენს. მომავალში სერიის მეორე ხომალდის მშენებლობა და შემდგომში რაოდენობის ოთხამდე გაზრდის შესაძლებლობაც განიხილება.

პროექტში ცნობილი იტალიური კომპანია „ფინკანტერიც“ მონაწილეობს. იტალიელი სპეციალისტები ინდოელებს დაეხმარებიან ხომალდის საბოლოო იერისა და მთავარი ენერგეტიკული დანადგარის არქიტექტურის განსაზღვრაში, გამოცდების ჩატარებაში. იტალიური საწარმოები განსაზღვრული სახის ტექნიკასა და კონსტრუქციებსაც დაამზადებენ.

ხომალდის წყალწყვა 37500 ტონა, სიგრძე — 252 მეტრი, სიგანე კი 58 მეტრი იქნება. ენერგეტიკული დანადგარი „ჯენერალ ელექტრიკის“ საერთო სიმძლავრის 108 ათასი ცხენის ძალის 4 აირტურბინით აღიჭურვება. მაქსიმალური სიჩქარე 28 კვანძი და ცურვის სიშორე 18 კვანძით 7500 მილს მიაღწევს. მაღალი დონის ავტომატიზაციით აღჭურვილ ხომალდს 1600-კაციანი ეკიპაჟი მოემსახურება.

შეიარაღებაში შედის: ვერტიკალური სტარტის სახენიტო-სარაკეტო კომპლექს „ტრიშულის“ ორი ბატარეა, ოთხი 76 მმ-იანი საარტილერიო დანადგარი „სუპერაპიდა“ და სხვ.

გემბანზე მოწყობილი ასაფრენ-დასაშვები ზოლი და სამგვარლიანი აეროფინიში მოკლე აფრენა-დაშვების მქონე თვითმფრინავების გამოყენებაზეა გათვლილი.

ავიაჯგუფი 20-მდე საფრენი აპარატით განისაზღვრა და რუსულ მიГ-29К-თან ერთად, ალბათ, ბრიტანული „ჰარიერებით“ შეივსება. გამორიცხული არ არის, ავიაჯგუფს ეროვნული წარმოების ავიაგამანადგურებელი LCA „თეჯა“ და გაუმჯობესებული შვეულმფრენი ALH „დპრუვი“ დაემატოს. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ ინდოეთმა მიГ-ის კონცერნთან 2015 წლამდე 30 თვითმფრინავის მიღებაზე წინასწარი განაცხადი უკვე გააკეთა.

2012 წლისათვის ინდოეთის ფლოტს რუსეთიდან კიდევ ერთი ავიაშინდი — „ვიკრამადიტა“ (ექს „ადმირალი გორ-

„კუზნეცოვი“ 2025 წლამდე ცურვას შეძლებს



შკოვი“) დაემატება.

2004 წლის 20 იანვარს, როცა შესაბამის კონტრაქტს ხელი მოეწერა, ხომალდის მოდერნიზაცია მილიარდ 500 მილიონი დოლარით უდებოდა, მაგრამ მიზეზთა გამო ხარჯებმა 2008 წლის ბოლოსათვის 2 მილიარდი 200 მილიონი დოლარი შეადგინა.

„ვიკრამადიტა“ რუსული შეიარაღებით აღიჭურვება. ავიაჯგუფისათვის უკვე შეკვეთილია 12 МиГ-29К და 4 МиГ-29КУБ, აგრეთვე Ка-27 და Ка-31 ტიპის შვეულმფრენები. მოდერნიზებული ხომალდის სამსახურის ვადა 30 წელზეა გათვლილი.

ამრიგად ინდური ავიაშიდების „ვიკრამადიტისა“ და P-71-ის საავიაციო პარკის ერთ ნაწილს რუსული წარმოების თვითმფრინავები და შვეულმფრენები დაიკავენ.

ამჟამად ინდოეთის ფლოტის განკარგულებაშია 1988 წელს ნაყიდი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული ავიამზიდი „ვირატი“ (ექსპრიტანული „ჰერმესი“), რომელიც ხანდაზმულობითა და ტექნიკურ-ტაქტიკური პარამეტრებით თანამედროვე მოთხოვნებს აღარ პასუხობს.

ავიაშიდი მალე ევოლუბა ჩინეთსაც. ეს მოვლენა კარგა ხანს ბურუსით იყო მოცული და გასული წლის ბოლოს პეკინმა, როგორც იქნა, ხომალდის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობა აღიარა. ეჭვის საფუძველს ისიც აძლიერებს, რომ წელს ჩინეთმა თავდაცვის ხარჯები 70 მილიარდ 270 მილიონ დოლარამდე გაზარდა და მატებამ 2008 წელთან შედარებით 14,9% შეადგინა.

გავრცელებული ინფორმაციით, აიგება ბრიტანული CVF პროექტის მსგავსი 50-

60 ათასი ტონა წყალწვევის, არაბირთვულ ენერგეტიკულ დანადგარზე მომუშავე ორი ავიამზიდი. სავარაუდოდ, მშენებლობა შანხაის რაიონში ვერც „კვიგოკიაოზე“ დაიწყება და დასრულება 2015 წლის შემდეგ არის მოსალოდნელი.

სხვა მონაცემებით, ჩინეთი 93 ათასი ტონა წყალწვევის ბირთვულ ენერგეტიკულ დანადგარზე მომუშავე ავიამზიდის აგებას აპირებს, რომელიც მწყობრში 2020 წლისათვის უნდა ჩადგეს.

ახალი ხომალდების პარალელურად დალიანის პორტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ერთ-ერთ ვერფზე 2010 წლისათვის უნდა დასრულდეს ავიამზიდ „ში ლანგის“ (ყოფილი საბჭოთა-უკრაინული „ვარიაცი“) მშენებლობა.

ხომალდს ნიკოლაევში აგებდნენ და 1992 წლისათვის, როცა მშენებლობა შეწყდა, მისი ტექნიკური მზადყოფნა 67%-ს შეადგენდა. უკრაინას ავიამზი-

დი არ სჭირდებოდა და ხომალდი ჩინელებმა 1998 წელს ენერგეტიკული დანადგარებისა და საჭის სისტემების გარეშე 20 მილიონ დოლარად იყიდეს.

უკრაინიდან ბუქსირება 2001 წლის ნოემბერში დაიწყო და 627 დღე გავრძელდა. რამდენჯერმე ხომალდი ძლიერ შტორმში მოხვდა და ბევრ ფაფურაკს გადაურჩა, მაგრამ ჩინეთს მაინც მიაღწია.

რამდენიმეწლიანი კირკიტის შემდეგ შრომისმოყვარე ჩინელებმა ავიამზიდის დასრულება მაინც მოახერხეს და 2001 წლის დასაწყისში სახელი „ში ლანგი“ და საბორტო ნომერი 83 მიანიჭეს. სპეციალისტთა აზრით, ხომალდი საგემბანო ავიაციის მფრინავთა მომზადებას მოემსახურება.

საბჭოთა პროექტის „ვარიაცი“ ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებით იყო აღჭურვილი და 24 თვითმფრინავსა და 42 შვეულმფრენს ატარებდა. ჩინელებმა ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებზე უარი თქვეს. გემბანის მთელ სიგრძეზე ასაფრენ-დასაშვები ზოლი და ცხვირზე ტრამპლინი გაკეთდა.

საგემბანო თვითმფრინავების შექმნის მიზნით მოლაპარაკება მოსკოვთან მიმდინარეობდა. ჩინელებს გამოცდის მიზნით ჯერ ორი Cy-33 ტიპის ავიაგამანადგურებლის შექმნა სურდათ, ხოლო დადებითი შედეგის შემთხვევაში 50 თვითმფრინავის შეკვეთას აპირებდნენ.

რუსეთმა წინადადებაში ჩინელთა ჩვეული ფანდი, — უახლესი ტექნოლოგიების კობირების სურვილი დაინახა და პეკინს Cy-33-ების მიყიდვაზე, ჯერჯერობით, უარი უთხრა.

თეიმურ ჩაჩანიძე



„ვარიაცი“ ბოსფორის სრუტეში ბუქსირების დროს



იყიდა რაკირული კატარღები

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი მოწინააღმდეგესთან ზღვაზე შეპრობობის გარეშე განადგურდა. გადარჩენილი მცურავი საშუალებების ერთი ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვის ძალებს შეუერთდა, ხოლო მეორეს კი, 2008 წლის აგვისტოში ფოთის სამხედრო პორტში რუსი აგრესორების ჩაძირულ კატარღებს, ახლა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ყიდის.

სიმბოლურ ფასად — ათ-ათ დოლარად იყიდება: მეკაეშირე კატარღა „წყალტუბო“, სარაკეტო კატარღების კლასის „თბილისი“ და „დიოსკურია“.

„წყალტუბო“ ბორტი №102 (შავი ზღვის ფლოტის ექსპეკეშირე კატარღა KCB-9) — მწყობრში 1965 წელს ჩადა, წყალწყვა — 70 ტონა, სიგრძე — 27 მეტრი;

„თბილისი“ ბორტი №302 (შავი ზღვის ფლოტის ექსსარაკეტო კატარღა P-15) — მწყობრში ჩადა 1981 წლის 29 ოქტომბერს, სრული წყალწყვა — 258 ტონა, სიგრძე — 39,5 მეტრი;

„დიოსკურია“ ბორტი №303 (საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ექსსარაკეტო კატარღა P17 „იპოლიარქოს ბაციისი“) — მწყობრში 1971 წელს ჩადა, წყალწყვა — 255 ტონა, სიგრძე — 47 მეტრი;

გასაყიდთა რიცხვში არ შევიდა ასევე რუსების განადგურებულ-აფეთქებული სანაპირო დაცვის საპატრულო ზომადი P-22 „აიეტი“, საპატრულო კატარღები P-205 „ორბი“ და P-204, სამსახურებრივი დანიშნულების კატარღა P-01.

დასახელებულ მცურავ საშუალებებს შორის ყველაზე დიდი 460 ტონა წყალწყვის „აიეტი“, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს 1960 წელს შეემატა და საქართველოს გერმანიის მთავრობამ 1998 წელს აჩუქა.

ყოფილი მტრალავის ხის მასალისაგან შეკრული კორპუსით მეორადი ლითონის შემგროვებლები ნაკლებად დანტერესდებიან და ნახევრად ჩაძირულ მდგომარეობაში ყოფნა „აიეტს“, ალბათ, კიდევ დიდხანს მოუწევს.

ქართულ ფლოტს „წყალტუბო“ და „თბილისი“ უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებიდან ჩამოწერის, ხოლო „დიოსკურია“ კი საბერძნეთის ფლოტის



სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველი საფლაგმანო კატარღა „თბილისი“



2008 წლის აგვისტო. რუსმა დივერსანტებმა „თბილისი“ ააფეთქეს

რუნერვში გადაყვანის შემდეგ შეემატა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დროშის ქვეშ გადმოსვლისას სამივე მცურავ საშუალებას რესურსები მეტნაკლებად ამოწურული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, „თბილისი“ 1999-04 წლებში და „დიოსკურია“ 2004-08 წლებში საფლაგმანო მცურავი საშუალების მოვალეობას ასრულებდა.

საქართველოს დედაქალაქის სახელის მატარებელი წყალქვეშა ფრთებიანი „თბილისისათვის“ ეს მეორე „გარდაცვალება“ ჯერ კიდევ 1997-98 წლებში, როცა თავდაცვის სამინისტრო უკრაინაში კატარღების შესყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას აწარმოებდა, მომავალი „თბილისი“ ნახ-

ხანძრის შემდეგ დამწვარი სავალი ჯიხურის ნარჩენები





მეკავშირე კატარღა „წყალტუბო“ და რუსების მიერ 1993 წელს ჩაძირული YTC-292

2008 წლის აგვისტო ხანძარი „წყალტუბოზე“



ევრად დაშლილ მდგომარეობასა და ჯართში ჩასაბრუნებლად იყო მომზადებული. კატარღის შეფასებითი ღირებულება მაშინ 96 ათას 500 გრივნას შეადგენდა, ხოლო ჯართში ჩაბრუნების შემთხვევაში შავი და ფერადი ლითონის საერთო ღირებულება დაახლოებით 14 ათას გრივნას აღწევდა.

სეკსტოპოლის საზღვაო ქარხანაში რემონტის შემდეგ „თბილისი“ ფოთში 1999 წლის ივლისში შემოვიდა. საქართველოს ფლოტში სამსახურის დროს მოძველებული და თანაც ექსპლუატაციისათვის საკმაოდ რთული წყალქვეშაფრთებიანი კატარღის ზღვაში გასვლას თუ ლაშქრობას თითქმის ყოველთვის გართულებები ახლდა. ერთი-ორჯერ კი ეკიპაჟს სამშობლოში სხვა მცურავი საშუალებითა და სახმელეთო გზით დაბრუნებამ მოუწია.

10 წლის წინ სოლიდურ თანხად ნაყიდი „თბილისი“ დღეს 10 დოლარად არის შეფასებული და კატარღის 131 ტონა ფოლადი, 22 ტონა ალუმინი და 6 ტონა სპილენძი მეორადი ლითონის დამამზადებლების ინტერესს თუ გამოიწვევს.

დაახლოებით ამდენივე ოდენობის შავი და ფერადი ლითონის მოპოვება „დიოსკურიასზე“ მოხერხდება, ხოლო წყლიდან ამოწეულ და გემოსადგომზე დადებულ „წყალტუბოს“ ლითონი ბევრად ნაკლები ექნება.

ამ სამ კატარღასთან ერთად, ალბათ, უნდა გაეიხსენოთ ყველასგან დავიწყებული და 2000 წლის თებერვალში უკრაინაში სარემონტოდ გაგზავნილი „ბათუმი“, რომელსაც კორპუსი იმდენად ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა, რომ რემონტზე უარი ითქვა, 2007 წელს ჩამოიწერა და გადასადნობად მარტენის ღუმელში გაიგზავნა.

ბალაკლავაში ხანგრძლივი მივლინებისას ეკიპაჟის ზოგიერთმა წევრმა ქართულ-უკრაინული ოჯახის შექმნაც კი მოასწრო.

„ბათუმი“ ბორტი №301 (შავი ზღვის სასაზღვრო ძალების ექსსაპატრულო ხომალდი ПСКР-638) — მწყობრში ჩადგა 1978 წელს, წყალწყვა — 210 ტონა, სიგრძე — 39 მეტრი;

კატარღების სიმბოლური ფასის მთავარი მიზეზი სამხედრო პორტის ჩაძირული კატარღებისაგან გასუფთავებაა. ეს პრობლემა უკვე მეორეჯერ დგება. 1992-93 წლებში ფოთიდან შავი ზღვის ფლოტის 184-ე საზღვაო ბრიგ-



ბალაკლავაში მიტოვებული „ბათუმი“

ადის გასვლისას რუსმა სამხედრო მეზღვაურებმა მცურავი საშუალებებიდან რაც არ სჭირდებოდათ, გაყიდეს ან ჩაძირეს.

რუსებმა მტრალავი ხომალდისგან გადაკეთებული სასწავლო-საწვრთნელი გემი YTC-292 სამხედრო პორტში პირდაპირ გემოსადგომთან გვერდულად ისე დაძირეს, რომ ერთი ბორტი წყლის ზედაპირზე დარჩა.

პორტში ჩაძირული ხომალდები ნახეს ბერძენმა, ფრანგმა, თურქმა, ბრიტანელმა მეცინთაგებმა და მეზღვაურებმა. იყო რჩევები, მაგრამ რეალური დახმარება არავის გაუწევია და საკუთარი ძალებით YTC-292-ის წყლის ზედაპირზე დარჩენილი ერთი ნაწილის მოჭრა მოხერხდა. დანარჩენი ისევ წყლისქვეშ, 3-5 მეტრის სიღრმეზე დარჩა.

ბევრად აჯობებდა, რომ თავდაცვის სამინისტროს სადესანტო კატარღებზე დახარჯული თანხები საზღვაო ძალების სტრუქტურაში საავარიო-სამაშველო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის მოეხმარა. თანამედროვე ტექნიკითა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ასეთი სამსახური, თავისი სპეციფიკითა და საჭიროებით, სამხედრო და სამოქალაქო ფლოტსაც გამოადგებოდა.

იქნებ ღირდეს და ერთ-ერთი კატარღა წყლიდან ამოწვეის შემდეგ ჯარის მაგივრად საზღვაო მუზეუმად გადაკეთდეს და საზღვაო საქმის თვალსაჩინოებისათვის იქნეს გამოყენებული.

თემურ ჩაჩანიძე

სარაკეტო კლასის „დიოსკურია“



ჩაძირული „დიოსკურია“



„აიეტის“ დაზიანებული კიჩო ჩაძირულია

არსენალური

					1		2		3		4		5			
					6										7	
										8						
10			11							12						
										22						
										13						14
15																
					16											
					17						18		19			20
21								22		23		24				
					25											
					26								27			
28																
					29											
																

თარგზულად 1. ფისტონი, ამნთე-ბი, რომელსაც იყენებენ ასაფეთქებლად; 6. ქვეყანა ბალტიისპირეთში; 7. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 8. ამერიკული პისტოლეტი; 10. მიზანში ზუსტად მსროლელი; 13. არგენტინული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 15. ერთ-ერთი პირველი ამერიკული დირიჟაბლი, რომელიც გამოყენებული იქნა სამხედრო მიზნებით; 16. ნატვრა; 17. ქართველი ჩოგბურთელი; 20. ჭური; 21. ავტომობილის კორპორაციის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალური“ პასუხები: **თარგზულად**: 5. პორტუგალია; 6. მონდრაგონი; 7. რიგა; 8. ოზარიო; 11. მაქსიმი; 13. პაი; 14. დაბური; 15. ანზა; 17. ვიჰალი; 18. აგნი; 21. მუხიკო; 22. ცახალი; 23. ვენა; 25. ქიზიფი; 26. სტორმერი; 27. კა; 28. ომი; 29. სინოლი; 30. ეგერი. **შვულად**: 1. კოპორტა; 2. კუბრიკი; 3. სანგარი; 4. კაპიტანი; 8. ორდონანტის-ტოლე; 9. რაუნდი; 10. ორიონი; 12. მანლიკერი; 13. პარაკირი; 16. პითონი; 19. ნახიოვი; 20. ულტიმაქსი; 23. ვარნანი; 24. ავიაცია.

სი; 22. ამერიკის არმიის გადამდგარი ქართველი გენერალი; 25. საჯარისო ქვედანაყოფი; 27. ფინური პისტოლეტი; 28. ბრაზილიური რევოლვერი; 29. საბუნებისმეტყველო მეცნიერება. **შვულად** 1. ამერიკული ავიამშენებელი კომპანია; 2. ბრძოლის წარმოების წესები და ხერხები; 3. პორტის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე; 4. გერმანიის სადაზვერუო ხომალდი; 5. მაჰმადიანთა რელიგია; 9. შაშხანებისა და პისტოლეტების მწარმოებელი ნორვეგიული

ფირმა; 10. საქართველოს თეატრის მინისტრი; 11. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 12. ქვეყანა, რომელიც აწარმოებს „არშიდის“ მარკის ავტომატებს; 13. ჩინელი დიქტატორი; 14. თხევადი ტვირთის გადასაზიდვი გემი; 18. თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფრეგატების ტიპი; 19. ვაჟიშვილი; 22. ისრაელის სამხედრო საზღვაო ფლოტის კატერი; 23. რუსი კოსმონავტი; 24. არგენტინული პისტოლეტი; 26. რუმინული უგზოობის ავტომობილი.



AT4 იგივე M136LAW

შვედურ-ამერიკული ერთჯერადი ბანკსანიანააღებო ყუმბარსატყორცნი

მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს ჯერ ამერიკელებმა გამოიყენეს „ბაზუკა“, ხოლო შემდეგ კი გერმანელებმა „ფაუსტატრონა“, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები მთელ მსოფლიოში გავრცელდა.



AT4-CS-ი იზვიითი ყუმბარსატყორცნია, რომლის სროლა ოთახიდანაც შეიძლება



ალბათ, დედამიწაზე აღარ არსებობს ერთი ქვეყანაც კი, რომლის არმიას არ აქვს შეიარაღებაში ყუმბარსატყორცნები.

ყუმბარსატყორცნი შედარებით მარტივი კონსტრუქციის იარაღია, რაც მის ღირებულებას ამცირებს და, შესაბამისად, ხელს უწყობს მის ფართოდ გავრცელებას. მაგრამ ამ ყუმბარსატყორცნებს შორისაც არის ისეთი ვგზემლარი, რომელიც შესაძლებლობებით ყველას აღემატება.

რეაქტიული ყუმბარსატყორცნის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი და, შესაბამისად, დადებითი თვისება ის არის, რომ შეგიძლია 300-500 მ-ზე დამიზნებით გაუშვა 100 მმ (ან უფრო მეტი) კალიბრის რაკეტა, ისე, რომ გასროლისას უკუცემის იმპულსი თითქმის ვერ იგრძნო.

ყუმბარსატყორცნის ლულიდან გამოფრენილი რაკეტის მსის ბალანსირებას იმ აირის ნაკადი ახდენს, რომელიც რაკეტის გამომგდები-სასტარტო ძრავას ამუშავებისას წარმოიქმნება. ისინი ერთმანეთს აკომპენსირებენ, რის გამოც მსროლელი თითქმის ვერ გრძნობს უკუცემის ძალას.

თუმცა ამ მეთოდს ერთი დიდი უარყოფითი უკუმოვლენაც ახლავს, ამ სი-

638/10



მოდერნიზებული AT4-CS
ოთახიდან სროლის
საშუალებას იძლევა

სწორედ ამიტომაც არ შეიძლება დღეისათვის არსებული ყუმბარსატყორცნის გასროლა, თუკი მსროლელი შენობაში ან მანქანაშია.

ამ მხრივ ერთ-ერთ უნიკალურ გამონაკლისს შევღურ-ამერიკული ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი AT4-CS-ი წარმოადგენს.

ამ ყუმბარსატყორცნის მიღში წინ რაკეტაა განთავსებული, შემდეგ გამოძვები მუხტი და ბოლოს ანტიმასა.


გასროლისას გამოძვები მუხტის აფეთქება რაკეტას წინ აგდებს, ხოლო ანტიმასას — უკან, რის შედეგად ხდება გამოვლებული მასების ურთიერთკომპენსირება და უკუცემის ეფექტი მსროლელისთვის მინიმალურია.

ტყვეების პირდაპირი გაგებით — გასროლისას ყუმბარსატყორცნის მილის უკან 30 მ-ის სიღრმეში და 90 გრადუსის კუთხით წარმოიქმნება ცეცხლის ნაკადი, რომელმაც შეიძლება სასიკვდილოდ დააზიანოს უკან მდგარი ადამიანი.

ეს უკუმოვლენა დამღუპველი თავად მსროლელისთვის გამოდგება, თუკი გასროლისას ყუმბარსატყორცნის მილის უკან კედელი აღმოჩნდება, — კედლიდან ასხლეტილი ცეცხლის ალი მსროლელს უკნიდან დაწვავს.




მრავალჯერადი
გამოყენების შევადური
ყუმბარსატყორცნი
Carl Gustaf-ი



ამერიკული
ყუმბარსატყორცნი
M72LAW

ფაქტობრივად, თუკი მანამდე გაშვებული რაკეტის მასას უკან გატყორცნილი ცეცხლის ნაკადი აკომპენსირებდა, ამჯერად ეს ფუნქცია ანტიმასაში აიღო.

ანტიმასა მსუბუქ კონტეინერში ჩასხმული სითხეა, რომელიც არც იწვის და არც იყინება. გასროლისას კონტეინერი იშლება. სითხე დიდი ტემპერატურის ზემოქმედებით ნაწილობრივ ორთქლდება, ნაწილობრივ კი შხეფებად იღვრება. შესაბამისად, ყუმბარსატყორცნის უკან რამდენიმე მეტრში მდგარ ადამიანს აღარაფერი ემუქრება.



რუსული ერთჯერადი
ყუმბარსატყორცნი
РПГ-26 АГЛЕНЬ


ოთახის სიღრმიდან ყუმბარსატყორცნის უსაფრთხო გასროლა (რომლის დროსაც არ წარმოიქმნება ცეცხლის დიდი ალი და შესაბამისად გასროლა უფრო ძნელად შესაძლებელია) დიდ უპირატესობას იძლევა, განსაკუთრებით კი ქალაქში ბრძოლისას.

AT4-CS-ის წინამორბედი AT4 იგივე M136LAW-ია. საერთოდ, ამ ტიპის ყუმბარსატყორცნის შექმნისა და განვითარების ისტორია ძალზე საინტერესოა, რადგან ჯერ შვედებმა აიღეს ნიშნულად ამერიკული ყუმბარსატყორცნი, შემდეგ კი უკვე ამერიკელმა სამხედროებმა მიჰბაძეს შვედებს.

შვედური AT4-ი იქცა ამერიკული ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნის M72LAW-ის ერთგვარ გაუმჯობესებულ ვარიანტად. პენტაგონში ისე მოწონათ ცნობილი შვედური კომპანია SAAB Bofors Dynamics-ის AT4, რომ თავადაც მიიღეს შეიარაღებაში M136LAW-ის სახელწოდებით.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ნიშნულად ამერიკული M72 LAW-ის აღებების მიუხედავად, AT4-ში შვედმა ინჟინრებმა ცნობილი შვედური ყუმბარსატყორცნის — Carl Gustaf-ის რაკეტები გამოიყენეს.

AT4 ერთჯერადი ყუმბარსატყორცნია, რომლის მიღში ჯერ კიდევ ქარხანაში ათავსებენ 84 მმ კალიბრის კუმულაციური ქობინიანი რაკეტას. გასროლის შემდეგ




AT4-ის 84 მმ კალიბრის კუმულაციური ქობინიანი რაკეტა

ჩვენი დონი: ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური ქობინიანი ერთჯერადი ყუმბარსატყორცნის — AT4/M136 LAW-ის სიგრძე 1040 მმ-ია, მასა — 7,5 კგ. უძრავი სამიზნის შემთხვევაში, 84 მმ კალიბრის კუმულაციური ქობინიანი რაკეტის სროლის ეფექტიანი მანძილი 300 მ-ს შეადგენს, მოძრავი სამიზნის დროს კი 150 მ-ს. სროლის მანძილის მიუხედავად, რაკეტის მიზანში მოხვედრის შემთხვევაში ის 500 მმ სისქის მონოლითურ ჯავშანს სვრეტს. დინამიკური დაცვის ელემენტებით აღჭურვილი საბრძოლო ტექნიკის დაზიანება გაძნელებულია, რადგან რაკეტას მხოლოდ ერთი კუმულაციური ქობინი აქვს. ამ ვარიანტის გარდა, იწარმოება მსხრვევად-ჯავშანგამტანი მოქმედების ქობინით აღჭურვილი რაკეტები, რომლებიც, ძირითადად, მონიწილადმდეგის პირადი შემადგენლობის დასაზიანებლადაა განკუთვნილი.

AT4-ის პლასტიკურ კონტეინერს ავდებენ. კალიბრის მიხედვით შვედურ AT4-თან ყველაზე ახლოს რუსული ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი РПГ-26 АГЛЕНЬ-ი დგას. ორი ასეთი РПГ-26-ით ნასროლი ტანკსაწინააღმდეგო კუმულაცი-

ური ქობინიანი რაკეტები მაშინდელი პრეზიდენტ შევარდნაძის შეჯავშნულ „მერსედესს“ წინა მარჯვენა მხარეს მოხვდა. ეს თავდასხმა 1998 წლის 9 თებერვალს თბილისში, ორთაჭალაში, 300 არაგველის ძეგლთან მოხდა.
ირაკლი ალადაშვილი





የኢትዮጵያ
የሰነድ ማረጋገጫ
ድርጅት

AT4/M136 LAW